



უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის
ექსპერტთა დასკვნა

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო
სასწავლო უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: მილან პოლი, მასარიკის უნივერსიტეტი, ჩეხეთის რესპუბლიკა

წევრები:

- ირმა მანჯავიძე - ექსპერტი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო
- ინგა დიაკონიძე - ექსპერტი, გურამ თავართქილაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი, საქართველო
- მაკა გველესიანი - დამსაქმებელი ექსპერტი, საქართველოს სერვის ჯგუფი_2007, საქართველო
- ნინო ალავიძე - სტუდენტი ექსპერტი, აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო

ავტორიზაციის დასკვნის რეზიუმე

ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტი (სპორტუნი) წარმოადგენს საქართველოში ერთადერთ უსდ-ს, რომელიც ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამებს სპორტის სფეროში. რაც შეეხება მის უახლეს ისტორიას, სპორტუნი გაერთიანდა სხვა სახელმწიფო უნივერსიტეტთან (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან) 2007 წელს; ხოლო 2013 წელს იგი კვლავ გახდა დამოუკიდებელი დაწესებულება. მას შემდეგ იგი ოპერირებს ამჟამინდელი სახელწოდებით. სპორტუნი სთავაზობს სამ საბაკალავრო პროგრამას, სამ სამაგისტრო პროგრამას და 60 კრედიტიან პროგრამას მომავალი ფიზიკური აღზრდის პედაგოგებისათვის.

სპორტუნი სტრუქტურირებულია ორ ფაკულტეტად - მწვრთნელთა ფაკულტეტი (320 სტუდენტი) და ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტი (339 სტუდენტი) (რაოდენობები ამოღებულია სტრატეგიული განვითარების გეგმიდან). სტუდენტთა დიდი უმრავლესობა სწავლობს საბაკალავრო პროგრამებზე; სამაგისტრო პროგრამებში ჩართულია მხოლოდ მცირე ჯგუფები. თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, უნივერსიტეტში დასაქმებულია 71 აკადემიური პერსონალი, მათგან 68 აფილირებულია სპორტუნისთან. ამჟამად, სპორტუნი ფუნქციონირებს ნაწილობრივ საკუთარ შენობაში, ხოლო ნაწილობრივ - სხვა დაწესებულებებისგან ნაქირავებ შენობებში.

საავტორიზაციო შეფასების პროცესის მოკლე მიმოხილვა: თვითშეფასების ანგარიში და ადგილზე ვიზიტი

ადგილზე ვიზიტამდე, ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა შესაძლებლობა გაცნობოდა სპორტუნის მიერ წარმოდგენილ ძირითად დოკუმენტებს (თვითშეფასების ანგარიშსა და სხვ. დოკუმენტებს) და ელ-ფოსტის მეშვეობით ემსჯელა პროცესის ხასიათზე, როლების გადანაწილებაზე და სხვ.

შემდეგ ნაბიჯებზე ზეგავლენა იქონია კორონავირუსის პანდემიამ. ამის გამო, ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა ჩატარდა 2020 წლის 17 მარტს Zoom ტექნოლოგიის მეშვეობით და გაიმართა უფრო კონკრეტული დისკუსია უკვე მომზადებული მონახაზებისა და სხვა მასალების გამოყენებით. ადგილზე ვიზიტი ორგანიზებულ იქნა 2020 წლის 18-20 მაისს. სამი დღის განმავლობაში ექსპერტთა ჯგუფმა ჩატარა რიგი ინტერვიუებისა სპორტუნის სტრუქტურებში მომუშავე ადამიანებთან და მეტიც, Zoom-ის ტექნოლოგიის მეშვეობით ორმა ექსპერტმა მონახულა უნივერსიტეტის შენობა-ნაგებობები.

ექსპერტთა ჯგუფის მუშაობას მთელი პროცესის მსვლელობაში ეფექტურად უჭერდნენ მხარს ქალბატონები ლალი გიორგაძე, ანა გვრიტიშვილი და თინათინ დვალიშვილი.

უსდ-ს სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა

1. უსდ-ს მისია და სტრატეგიული განვითარება, მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
2. უსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა და მენეჯმენტი ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
3. საგანმანათლებლო პროგრამები მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
4. უსდ-ს სტაფი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
5. სტუდენტები და მათი ხელშეწყობის სერვისები მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
6. კვლევა, განვითარება და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

რეკომენდაციების რეზიუმე

სტანდარტი 1

უნივერსიტეტის ხედვა ფორმულირდეს იმგვარად, რომ ასახოს მისიის განაცხადში მოცემული ყველა მნიშვნელოვანი სფერო.

გაუმჯობესდეს საუნივერსიტეტო საზოგადოებაში მისიისა და ხედვის გაზიარების მექანიზმები.

დარწმუნდით, რომ ფორმულირებული ღირებულებები (მაგალითად აკადემიური კეთილსინდისიერება) კარგად არის გააზრებული სპორტუნის საზოგადოების მიერ.

გადაიხედოს სამოქმედო გეგმა, მკაფიო ბიუჯეტის გამოყოფით თითოეული ძირითადი აქტივობისათვის.

გაიზარდოს სტუდენტთა მონაწილეობა სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებისა და შეფასების პროცესებში.

სტანდარტი 2

გაფართოვდეს და ხელი შეეწყოს სამეცნიერო კვლევების, კარიერული განვითარებისა და კურსდამთავრებულთა დასაქმების სამსახურების ფუნქციონირებას.

გადაიხედოს და განვითარდეს საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახურის საქმიანობა.

გაუმჯობესდეს ინტერნაციონალიზაციის მექანიზმები და სტუდენტთა და პერსონალის ჩართულობა ინტერნაციონალიზაციის პროცესში.

მკაფიოდ განისაზღვროს ინტერნაციონალიზაციისათვის გამოყოფილი ფინანსური რესურსები.

გაუმჯობესდეს სწავლების ხარისხის სრულყოფის მექანიზმი.

ამაღლდეს შიდა და გარე შემფასებელთა ცნობიერება საუნივერსიტეტო ცხოვრების ყველა დონეზე მიმდინარე მნიშვნელოვანი ცვლილებების შესახებ.

უზრუნველყავით გარე დაინტერესებულ მხარეთა მეტი ჩართულობა შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში.

დაინერგოს და გამოყენებულ იქნეს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ანტიპლაგიატიზმის მექანიზმები. ეს მექანიზმები (პროგრამა) გამოიყენეთ სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის ნაშრომების შემოწმებისას.

უზრუნველყავით სტუდენტებისა და პერსონალის უკეთ ინფორმირება აკადემიური თავისუფლებისა და კეთილსინდისიერების პრინციპების შესახებ.

უზრუნველყავით პერსონალის

შეფასების მექანიზმის დანერგვა და შეფასების შედეგების გამოყენება გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

სტანდარტი 3

გარე დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით მეტი ყურადღება მიაქციეთ სტუდენტთა პრაქტიკული უნარების განვითარებას.

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამაგისტრო პროგრამაზე დაშვებისათვის მკაფიოდ განისაზღვროს პროგრამაში ინგლისური ენის ცოდნის საჭირო დონე.

უზრუნველყოფილ იქნეს ინგლისური ენის შესაბამისი დონის სწავლების კურსით ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამაგისტრო პროგრამა, უცხოური ენების ევროპული კვალიფიკაციის ჩარჩოს მიერ დადგენილ სტანდარტების შესაბამისად.

გაუმჯობესდეს და დაინერგოს პრაქტიკაში შეფასების გასაჩივრების სისტემის მექანიზმები.

სტანდარტი 4

დაზუსტდეს თუ რა ზეგავლენას ახდენს პერსონალის საქმიანობის შეფასების შედეგები მათი შრომის ანაზღაურებისა და წახალისების სისტემაზე.

უზრუნველყოფილ იქნეს, რომ პერსონალის შეფასებისა და საქმიანობის შესწავლის ყველა ინსტრუმენტი შეესატყვისებოდეს მიზანს და იძლეოდეს საკმარის ინფორმაციას გაუმჯობესების საფუძვლისათვის.

უზრუნველყავით მთელი ადმინისტრაციული პერსონალისათვის ახალი შეფასების სისტემის გაცნობა.

უზრუნველყავით ინგლისური ენის შემსწავლელი კურსების განხორციელება სრულყოფილად.

დაწესებულების საქმიანობის ეფექტიანად წარმართვის მიზნით უზრუნველყოფილ იქნეს სამიზნე ნიშნულების დაწესება ყველა თანამშრომლისა და მათ მიერ შესრულებული სამუშაოსათვის.

პერსონალის მიერ მათი საგანმანათლებლო, კვლევითი და ადმინისტრაციული საქმიანობის ეფექტიანად წარმართვის მიზნით უზრუნველყავით სამიზნე ნიშნულების შემუშავება და გამოყენება ყველა თანამშრომლისათვის.

სტანდარტი 5

დარწმუნდით, რომ სასწავლო საკითხების შესახებ ინფორმაციის ინგლისურენოვანი ვერსია ხელმისაწვდომი იყოს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

დარწმუნდით, რომ სტუდენტთა უფრო აქტიური ჩართულობა საუნივერსიტეტო საკითხებში (მართვა, სტუდენტური ასოციაციები და სხვ.) იქცეს რეალობად.

შეიმუშავეთ სტუდენტებისათვის მოკლე და გრძელვადიანი საერთაშორისო პროექტები.

დარწმუნდით, რომ სტუდენტურ თვითმმართველობას აქვს მკაფიოდ განსაზღვრული სამოქმედო გეგმა და ეს გეგმა საყოველთაოდაა გავრცელებული.

დარწმუნდით, რომ მუშაობა კურსდამთავრებულებთან იყოს უფრო სისტემური.

შექმენით კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების სტრუქტურირებული მონაცემთა ბაზა.

შეიმუშავეთ და შესთავაზეთ სტუდენტებს კულტურული და სპორტული აქტივობების უფრო მდიდარი არჩევანი.

დარწმუნდით, რომ ვებ-გვერდი არის ინფორმატიული, თანამედროვე ინტერფეისით და გახადეთ იგი უფრო ინტერაქტიული.

სტანდარტი 6

ერთობლივი სამეცნიერო პროექტების განხორციელებაში გააღრმავეთ თანამშრომლობა ეკონომიკურ აგენტებთან სწავლებისა და კვლევის ინტეგრაციის უკეთ წარმართვის მიზნით.

განახორციელეთ კომპლექსური დისციპლინათაშორისი კვლევითი აქტივობები, რაც შესაბამისობაში იქნება უნივერსიტეტის სპეციფიკასთან და ხასიათთან.

გაზარდეთ სტუდენტებისა და პერსონალის ჩართულობა სამეცნიერო აქტივობებში.

შეიმუშავეთ და დანერგეთ უნივერსიტეტის შიდა კვლევითი გრანტების მექანიზმები.

განავითარეთ უნივერსიტეტის საერთაშორისო სამეცნიერო კვლევით აქტივობებში სტუდენტებისა და პერსონალის ჩართულობის გაზრდის მექანიზმები.

შეიმუშავეთ ადგილობრივი და საერთაშორისო პროფესორების მიერ კვლევების ერთობლივი ხელმძღვანელობის პრაქტიკა.

გააუმჯობესეთ ახალი კვლევითი პერსონალის მოზიდვის მექანიზმები.

გააუმჯობესეთ შეფასების შედეგების გამოყენების მექანიზმები კვლევითი აქტივობების შემდგომი განვითარებისათვის.

სტანდარტი 7

დარწმუნდით, რომ ყველა ობიექტის დონე დამაკმაყოფილებელია.

გააუმჯობესეთ გარემოს ადაპტირება განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირებისათვის.

შეიმუშავეთ და განახორციელეთ საბიბლიოთეკო რესურსებით სარგებლობის გაზრდის სტრატეგიები.

განსაზღვრეთ კონკრეტული მოქმედებები ელექტრონული მართვის სისტემის შემდგომი განვითარებისათვის.

შეიმუშავეთ სპორტუნის ვებ-გვერდის ინგლისურენოვანი ვერსია.

დარწმუნდით, რომ ბიუჯეტი უფრო მკაფიოდაა დივერსიფიცირებული კონკრეტულ მუხლებად სპორტუნის ოპერირებისა და განვითარების ძირითად სფეროებში.

დარწმუნდით, რომ საკმარისი ფინანსებია გამოყოფილი უნივერსიტეტის მეორეხარისხოვანი აქტივობებისათვის, მათ შორის ინტერნაციონალიზაციისთვის (ფინანსური პარამეტრები ზუსტად უნდა იყოს დადგენილი).

რჩევების რეზიუმე

სტანდარტი 1

დარწმუნდით, რომ გამოკითხვები იყოს უფრო ეფექტური, მაგალითად, მეტი ღია კითხვების შეტანით სტუდენტებისა და პერსონალის ჩართულობის შესახებ უნივერსიტეტის მისიაში და მის გაზიარებაში.

სტანდარტი 2

სასურველია, რომ ფაკულტეტები და პროგრამები იყვნენ ასევე საერთაშორისო თანამშრომლობის ინიციატორები. ეს გახდის საერთაშორისო თანამშრომლობას უფრო მიზნობრივს პროგრამებისა და სპეციალობების დონეზე.

სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად ეფექტიანი იქნებოდა ისეთი პეაქტივის დანერგვა, როგორცაა კოლეგიალური დაკვირვება. ეს ხელს შეუწყობდა კოლეგებს შორის საუკეთესო გამოცდილების გაზიარებას.

ექსპერტთა ჯგუფი მიზანშეწონილად მიიჩნევს უნივერსიტეტმა განსაზღვროს მინიმალური GPA და სტიპენდიანტების რაოდენობა ერთ აკადემიურ წელზე უფრო გრძელი ვადით.

სტანდარტი 3

სასურველია, უნივერსიტეტმა გაითვალისწინოს კურსდამთავრებულთა საჭიროებები სადოქტორო პროგრამის შემუშავებისათვის.

სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამების მიმართ დაინერგოს ინტეგრირებული, ინტერდისციპლინური მიდგომები.

სტანდარტი 5

ამის საჭიროების გაჩენამდე მიაწოდეთ სტუდენტებს ინფორმაცია მათი ყველა უფლების შესახებ.

განიხილეთ ფსიქოლოგის ჩართვა ზოგიერთი სტუდენტის კონსულტირებისას, რათა დარწმუნდეთ, რომ ეს მომსახურება ხელმისაწვდომია ამ საჭიროების მქონე სტუდენტათვის.

შეიმუშავეთ ეფექტური წახალისების პროცედურები სპორტულ კარიერაში გამორჩეული მიღწევების მქონე სტუდენტებისათვის (სტიპენდიები, მათი სპორტული აქტივობების დაფინანსება ან მათთვის შესაბამისი ობიექტების გამოყოფა, დაჯილდოება და სხვ.).

მიეცით შესაძლებლობა ადმინისტრაციულ დეპარტამენტებს მიაწოდონ სტუდენტებს ინფორმაცია იმაზე, თუ რომელ ამოცანებზე უნდა იყოს თითოეული მათგანი ორიენტირებული.

საუკეთესო პრაქტიკის შეჯამება

სტანდარტი 2

2016-2018 წწ. უნივერსიტეტმა განახორციელა 30-ზე მეტი ტრენინგი საქართველოს სხვადასხვა რეგიონში დაწყებითი და საშუალო სკოლების მასწავლებლებისა და ფიზიკური აღზრდის მწვრთნელებისათვის.

სტანდარტი 3

აღსანიშნავია, რომ მწვრთნელთა ფაკულტეტის კურსდამთავრებულები იღებენ მწვრთნელის ლიცენზიას "C" კატეგორიით. მიგვაჩნია, რომ ეს არის მნიშვნელოვანი წვლილი კურსდამთავრებულთა პროფესიულ და კარიერულ შესაძლებლობებში.

სტანდარტებთან და სტანდარტის კომპონენტებთან უსდ-ს შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შესაბამისობაშია მოთხოვნებს
--	-----------	------------------------------	---------------------------------------	---	-------------------------------

1.	უსდ-ს მისია და სტრატეგიული განვითარება	<input type="checkbox"/>	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
1.1	უსდ-ს მისია	<input type="checkbox"/>	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
1.2	სტრატეგიული განვითარება	<input type="checkbox"/>	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2.	უსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	x	<input type="checkbox"/>
2.1	ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	x	<input type="checkbox"/>
2.2	ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	x	<input type="checkbox"/>
2.3	ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	x	<input type="checkbox"/>
3.	საგანმანათლებლო პროგრამები	<input type="checkbox"/>	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3.1	საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვა და შემუშავება	<input type="checkbox"/>	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3.2	საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	<input type="checkbox"/>	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3.3	სწავლის შედეგების შეფასება	<input type="checkbox"/>	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4	უსდ-ის პერსონალი	<input type="checkbox"/>	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4.1	პერსონალის მართვა	<input type="checkbox"/>	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4.2	აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა	<input type="checkbox"/>	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5	სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები	<input type="checkbox"/>	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5.1	სტუდენტის სტატუსის მოპოვებისა და შეცვლის წესი, განათლების აღიარება და სტუდენტთა უფლებები	<input type="checkbox"/>	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5.2	სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	x	<input type="checkbox"/>
6	კვლევა, განვითარება და/ან სხვა შემოქმედებითი საქმიანობა	<input type="checkbox"/>	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
6.1	კვლევითი საქმიანობა	<input type="checkbox"/>	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
6.2	კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	x	<input type="checkbox"/>
6.3	კვლევითი საქმიანობის შეფასება	<input type="checkbox"/>	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
7	მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	<input type="checkbox"/>	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
7.1	მატერიალური რესურსები	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	x	<input type="checkbox"/>
7.2	საბიბლიოთეკო რესურსები	<input type="checkbox"/>	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
7.3	საინფორმაციო რესურსები	<input type="checkbox"/>	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
7.4	ფინანსური რესურსები	<input type="checkbox"/>	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. მილან პოლი (თავმჯდომარე)
2. ირმა მანჯავიძე (წევრი)
3. ინგა დიაკონიძე (წევრი)
4. მაკა გველესიანი (წევრი)
5. ნინო ალავიძე (წევრი)

ავტორიზაციის სტანდარტის კომპონენტებთან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისობა

1. უსდ-ს მისია და სტრატეგიული განვითარება

უსდ-ის მისიის შესახებ განაცხადი განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლესი განათლების სფეროსა და ფართო საზოგადოებაში. უსდ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმა შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, ეფუძნება უმაღლესი ამ საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნებს და ასახავს მათი მიღწევის საშუალებებს.

1.1 უსდ-ის მისია

უსდ-ს მისიის შესახებ განაცხადი შეესაბამება საქართველოსა და ევროპულ უმაღლეს საგანმანათლებლო მიზნებს, განსაზღვრავს მის როლს და ადგილს უმაღლესი განათლების სფეროში და საზოგადოებაში, როგორც ქვეყნის, ისე საერთაშორისო მასშტაბით.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტის (სპორტუნი) მისია ჩამოყალიბებულია მკაფიოდ და მისაღები ფორმით. იგი ფოკუსირებულია სწავლებაზე/განათლებაზე (მისი პროგრამების ფარგლებში) და კვლევით აქტივობებზე. იგი ასევე ხაზს უსვამს სპორტუნის სოციალურ პასუხისმგებლობას. იგი ასევე ძალიან მოკლედ აყალიბებს ეროვნული, ისევე, როგორც საერთაშორისო დონის მიღწევის ამბიციას. უნივერსიტეტის სპეციფიკური ხასიათის გათვალისწინებით, იდენტიფიცირებულია მისი უნიკალური როლი - სამოყვარულო და პროფესიონალური სპორტის განვითარების ხელშეწყობა. საერთო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ სტუდენტების საზოგადოების აქტიური წევრებად ჩამოსაყალიბებლად და როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო შრომის ბაზარზე მათი კონკურენტუნარიანობის ხელშეწყობისათვის, უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სამმაგი მისიის განაცხადი, რომელიც მოიცავს განათლებას, გამოყენებით კვლევას და საზოგადოებაში იდეების გავრცელებას (მათ შორის ინტერნაციონალიზაციას).

აღსანიშნავია, რომ შესამღებელია უნივერსიტეტის მისიას, ხედვასა და სტრატეგიული განვითარების გეგმას შორის კავშირის იდენტიფიცირება. მიუხედავად ამისა, უნივერსიტეტის ხედვას, რომელიც მისი მისიის შემადგენელი ნაწილია, აკლია ერთი ელემენტი: სამეცნიერო კვლევითი ელემენტი, რომელიც წარმოადგენს საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მისიის ერთ-ერთი ამოსავალ წერტილს. ხედვა მოიცავს ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე წარმატების მიღწევის მკაფიო ამბიციას ძირითადად სწავლებისა და წვლილის შეტანით "ქვეყნისა და საზოგადოების სოციალურ, კულტურულ და ეკონომიკურ განვითარებაში, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობაში" (თვითშეფასების ანგარიში გვ. 14). ამგვარად, სპორტუნის მიერ ჩამოყალიბებულ ხედვას აკლია კვლევაზე აქცენტი.

უნდა ითქვას, რომ შესაბამისი ღირებულებების კომპლექტი გაცხადებულია სპორტუნის ერთ-ერთ მიზნად, მათ შორის: ავტონომიურობა, აკადემიური თავისუფლება, აკადემიური კეთილსინდისიერება (დამაჯერებლად ვერ დადასტურდა ინტერვიუების დროს), სამართლიანობა, სოციალური პასუხისმგებლობა, ეროვნული ინტერესებისა და უნივერსალური ღირებულებების დაცვა და ა.შ. (თვითშეფასების ანგარიში, გვ. 14).

უნივერსიტეტი იღებს გარკვეულ ზომებს საუნივერსიტეტო საზოგადოების მიერ დაწესებულების მისიის გაზიარების ხელშეწყობისათვის: მისია, ხედვა, ღირებულებები და სტრატეგიული განვითარების გეგმა საჯაროდ ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-საიტზე. დაწესებულება, ასევე, ატარებს გამოკითხვებს სტუდენტებისა და პერსონალის ინფორმირებულობისა და მისიის გაზიარების შესახებ. მიუხედავად ამისა, გამოკითხვის შედეგებმა, ისევე როგორც ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩატარებულმა ინტერვიუებმა გამოავლინა, რომ მისიისა და ხედვის განაცხადების თაობაზე ინფორმირებულობა და გაზიარება დაბალია. მისიის გაზიარების დონე და მექანიზმები საჭიროებს გაუმჯობესებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები
სპორტუნის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში
ინტერვიუს შედეგები
დანართი 1,1. სასწავლო უნივერსიტეტის წესდება.
დანართი 1,2. სასწავლო უნივერსიტეტის მისია, ხედვა და ღირებულებები.
დანართი 1,3. სასწავლო უნივერსიტეტში ჩატარებული გამოკითხვის შედეგები.

რეკომენდაციები:
უნივერსიტეტის ხედვის ფორმულირება იმგვარად, რომ ასახოს მისიის განაცხადში მოცემული ყველა მნიშვნელოვანი სფერო.
გაუმჯობესდეს საუნივერსიტეტო საზოგადოებაში მისიისა და ხედვის გაზიარების მექანიზმები.
დარწმუნდით, რომ ფორმულირებული ღირებულებები (მაგალითად აკადემიური კეთილსინდისიერება) კარგად არის გააზრებული სპორტუნის საზოგადოების მიერ.

რჩევები:
დარწმუნდით, რომ გამოკითხვები იყოს უფრო ეფექტური, მაგალითად, მეტი ღია კითხვების შეტანით სტუდენტებისა და პერსონალის უნივერსიტეტის მისიაში და მის გაზიარებაში ჩართულობის შესახებ.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
პრაქტიკა, რომელიც განსაკუთრებით ეფექტურია და შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის

შეფასება
მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 სტრატეგიული განვითარება

- უსდ-ს აქვს სტრატეგიული განვითარების (7-წლიანი) და სამოქმედო გეგმები (3-წლიანი).
- უსდ-ს წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებაში, დაწესებულებაში გენერირებულ ცოდნას უზიარებს საზოგადოებას და ხელს უწყობს უწყვეტ განათლებას.
- უსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების შეფასებას და სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სპორტუნის შემუშავებული აქვს 7 წლიანი სტრატეგიული გეგმა და 3 წლიანი სამოქმედო გეგმა. ამ ორ დოკუმენტს შორის კავშირი მარტივად იდენტიფიცირდება. პრინციპში, ეს გეგმები შესაძლოა განხილვად იქნას, როგორც სპორტუნის მისიაზე და ნაწილობრივ ხედვასა და ღირებულებებზე დაფუძნებული.

7 წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა (2020-2026წწ.) მოიცავს ექვს ძირითად გრძელვადიან ამოცანას: ინსტიტუციური და მმართველობითი სისტემის სრულყოფის ხელშეწყობას; საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესების ხელშეწყობას; სამეცნიერო კვლევებისა და შემოქმედებითი აქტივობების ხელშეწყობას; სტუდენტებისა და მათი დახმარების აქტივობების ხელშეწყობას; პერსონალის მართვის ეფექტიანობისა და განვითარების ხელშეწყობას; მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსების ხელშეწყობას (7 წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა, გვ. 15). უნივერსიტეტის სტრატეგიული მიზნები ემყარება მისიის განაცხადს და სრულ შესაბამისობაშია მისი საქმიანობის პრიორიტეტებთან. სტრატეგიული განვითარების გეგმა, ისევე, როგორც სამოქმედო გეგმა, მოიცავს დაწესებულების ოპერირებისათვის სასიცოცხლო ყველა ძირითად ასპექტს, მათ შორის: ხარისხის უზრუნველყოფას, საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვასა და განხორციელებას, კვლევას, შემოქმედებით აქტივობებს, მატერიალური და ადამიანური რესურსების, სტუდენტური მომსახურებების, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას და ა.შ. შესაძლოა ოდნავ უფრო ნაკლები ყურადღებაა გამახვილებული უნივერსიტეტის მესამე როლზე, რაც გასაკვირია. სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი აქტიურ როლს თამაშობს საზოგადოების განვითარებასა და ცოდნის გავრცელებაში სოციალური, კულტურული და საგანმანათლებლო აქტივობების დაგეგმვითა და განხორციელებით. 2016-2018წწ. უნივერსიტეტმა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში განახორციელა 30-ზე მეტი ტრენინგი დაწყებითი და საშუალო სკოლების პედაგოგებისათვის, კერძოდ ფიზიკური აღზრდის მასწავლებლებისა და მწვრთნელებისათვის; უნივერსიტეტის სტუდენტები მოხალისეებად მონაწილეობენ საქველმოქმედო მიზნებით ორგანიზებულ რიგ ღონისძიებებში; აწყობენ სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებს, მონაწილეობას იღებენ მსოფლიო მარათონში და ა.შ.

რაც შეეხება 3 წლიან სამოქმედო გეგმას (2020-2022წწ.), იგი აკონკრეტებს ძირითად ამოცანებს განსახორციელებელ აქტივობებად, პასუხისმგებელ ერთეულებად (მათ შორის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურიც), დაინტერესებულ მხარეთა გარკვეულ ჩართულობას, ვადებს, ინდიკატორებს, "შემოწმების წყაროებს", რისკებს და ფინანსებს. ესაა რიგი ამბიციური აქტივობების შემცველი დოკუმენტი. ინტერვიუების მსვლელობაში ჩვენ

მივიღეთ ზოგიერთი დამატებითი განმარტება გეგმის დეტალების შესახებ. ზოგი განმარტება კი (ძირითადად ფინანსებთან დაკავშირებული) ვერ იქნა სრულყოფილად მოწოდებული. ეს ეჭვს ბადებს მათი განხორციელებადობის თაობაზე. ინტერვიუების მსვლელობაში სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობებს ფინანსური განხორციელებადობის უკეთ შესაფასებლად, უნივერსიტეტს ვთხოვეთ წარმოედგინა დივერსიფიცირებული ბიუჯეტის დოკუმენტი. უნივერსიტეტმა წარმოადგინა დამატებითი ბიუჯეტის დოკუმენტი, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის წერილის თანხლებით. წერილი ადასტურებდა, რომ სამინისტროს დაგეგმილი ჰქონდა და უკვე გამოყო სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ძირითადი აქტივობების ადეკვატური სახსრები, როგორებიცაა: ახალი კამპუსისა ობიექტების მშენებლობა (სავარჯიშო დარბაზები, სპორტული მოედნები და სხვ.) რაც შეეხება ბიუჯეტის დოკუმენტს, იგი ადასტურებს, რომ უნივერსიტეტს გააჩნია სახელმწიფო დაფინანსებაც და საკუთარი ბიუჯეტიც. ეს უკანასკნელი 2015 წლიდან მზარდია და აქვს კარგი შესაძლებლობა იმისათვის, რომ დააფინანსოს ისეთი აქტივობები, როგორიცაა ინტერნაციონალიზაცია, პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება, საერთაშორისო პროგრამების შემუშავება. უნივერსიტეტის პერსონალმა და მენეჯმენტმა ინტერვიუებისას დაადასტურა, რომ მათ უკვე დაწყებული აქვთ ამ მიმართულებით მუშაობა. პროგრამების ინტერნაციონალიზაციის ხელშესაწყობად მათ უკვე დაგეგმეს ინგლისური ენისა და კომპიუტერული უნარების კურსები, პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება, შეიმუშავეს პერსონალის წახალისების ფორმები და ზოგიერთი მათგანი გამოიყენეს კიდევ პრაქტიკაში, მაგალითად, უნივერსიტეტმა უკვე შემოიღო საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში აკადემიური პერსონალის პუბლიკაციების დაფინანსების პრაქტიკა (დეტალურად იხილეთ სტანდარტები 4 და 6). მიუხედავად ამისა, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ უნივერსიტეტმა უნდა გადახედოს სამოქმედო გეგმის ფინანსურ პარამეტრებს. სამოქმედო გეგმა უნდა ასახავდეს და მკაფიოდ განსაზღვრავდეს ფინანსური დახმარების ზემოთ აღწერილ ყველა შესაძლებლობას.

სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების განხორციელების მონიტორინგის მიზნით უნივერსიტეტმა შეიმუშავა სტრატეგიული დაგეგმვისა და მონიტორინგის მეთოდოლოგიის დოკუმენტი. ამ დოკუმენტით განსაზღვრული პროცედურებით, უნივერსიტეტმა ჩაატარა SWOT ანალიზი და მიიღო რიგი ზომებისა ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და ადმინისტრაციულ პერსონალთან და სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლებთან ინტერვიუებით მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, დადასტურდა, რომ მონიტორინგის შედეგები გამოიყენება უნივერსიტეტის მართვის ეფექტიანობის გასაუმჯობესებლად. მაგალითად, უნივერსიტეტმა დანერგა აკადემიური პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა, ისევე, როგორც საქმისწარმოების სისტემა e-flow; უნივერსიტეტში სამეცნიერო კვლევებისა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ხელშეწყობის მიზნით დაარსდა სამეცნიერო კვლევის დეპარტამენტი და სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სამსახური. ამ ახალი დეპარტამენტების გამოწვევები განსაზღვრულ იქნა 3 წლიან სამოქმედო გეგმაში. უნივერსიტეტის სამოქმედო

გეგმის თანახმად სპორტუნის გამოყოფილი აქვს ბიუჯეტის 3% დაგეგმილი სამეცნიერო კვლევითი აქტივობების განსახორციელებლად. ინტერვიუებმა დაადასტურა, რომ სამეცნიერო კვლევებისათვის, ისევე როგორც ინტერნაციონალიზაციისათვის, მათ გამოყოფილი აქვთ 5%-მდე გაზრდილი ბიუჯეტი.

რაც შეეხება სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიას, სპორტუნი იყენებს შესაბამის შიდა და გარე დოკუმენტებს და გარე კონსულტაციებს. უნივერსიტეტმა განახორციელა SWOT ანალიზი და მის საფუძველზე ჩამოაყალიბა სპორტუნის განვითარების ძირითადი სფეროები. სამუშაო ჯგუფი შედგებოდა უნივერსიტეტის ლიდერებისაგან - რექტორისაგან, ადმინისტრაციის ხელმძღვანელისაგან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებისაგან, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის, ისევე, როგორც სტუდენტთა წარმომადგენლებისაგან. სპორტუნის გააჩნია ასევე დოკუმენტი "სტრატეგიული დაგეგმვისა და მონიტორინგის მეთოდოლოგია", რომელიც ადგენს მისი გეგმების შემუშავებისა და მონიტორინგის ჩარჩოებს.

სპორტუნიში სტრატეგიული დაგეგმვა და მონიტორინგი წარმოადგენს გარკვეულწილად თანამონაწილეობრივ პროცესს. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, უნივერსიტეტი ცდილობს აქტიურად ჩართოს მისი პერსონალი, სტუდენტები და გარე დაინტერესებული მხარეები სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში. სტრატეგიული დაგეგმვისა და შემუშავების პროცესის ეფექტური ორგანიზების მიზნით, უნივერსიტეტმა დააარსა სამუშაო ჯგუფი, რომელიც ეხმარება სტრატეგიული გეგმისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებაში ზემოაღნიშნული მეთოდოლოგიის შესაბამისად. აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის ჩართულობის თაობაზე სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავებაში უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული გამოკითხვების შედეგები, ისევე, როგორც ექსპერტთა ჯგუფის მიერ აკადემიურ/ადმინისტრაციულ პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუები, ადასტურებენ აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალის საკმაოდ აქტიურ მონაწილეობას სტრატეგიული დაგეგმვისა და შემუშავების პროცესებში. თუმცა, სტუდენტთა ჩართულობა იმავე პროცესებში შედარებით დაბალია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

სპორტუნის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში

ინტერვიუს შედეგები

განთლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება N52, სპორტულ და ინფრასტრუქტურულ პროექტებში სახელმწიფო საინვესტიციო პროექტების დამტკიცების შესახებ.

დანართი 1,4. ერთობლივი ანგარიში სასწავლო უნივერსიტეტის საქმიანობაზე (2014-2019წწ.).

დანართი 1,5. სასწავლო უნივერსიტეტის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა

<p>დანართი 1,6. სასწავლო უნივერსიტეტის სამწლიანი სამოქმედო გეგმა</p> <p>დანართი 1,7. სასწავლო უნივერსიტეტის სტრატეგიული დაგეგმვისა და მონიტორინგის მეთოდოლოგია</p>
<p>რეკომენდაციები:</p> <p>გადაიხედოს სამოქმედო გეგმა, მკაფიო ბიუჯეტის გამოყოფით თითოეული ძირითადი აქტივობისათვის.</p> <p>გაიზარდოს სტუდენტთა მონაწილეობა სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებისა და შეფასების პროცესებში.</p>
<p>რჩევები:</p> <p>არასავალდებულო რჩევები შემდგომი განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):</p> <p>2016-2018 წწ. უნივერსიტეტმა განხორციელა 30-ზე მეტი ტრენინგი საქართველოს სხვადასხვა რეგიონში დაწყებითი და საშუალო სკოლების მასწავლებლებისა და ფიზიკური აღზრდის მწვრთნელებისათვის.</p>
<p>შეფასება</p> <p>მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

2. უსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ითვალისწინებს საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, რაც გულისხმობს მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურ გამოყენებას მართვის პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის განხორციელებას, ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის ინტეგრირებას მართვის პროცესში და ხელს უწყობს დაწესებულებაში კეთილსინდისიერებისა და ეთიკური პრინციპების დამკვიდრებას.

<p>2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა</p> <ul style="list-style-type: none"> ○ უსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს თავის სტრატეგიულ გეგმაში აღწერილი მიზნებისა და ღონისძიებების განხორციელებას. ○ უსდ-ს მმართველ ორგანოთა არჩევის/დანიშვნის პროცედურები არის გამჭვირვალე, სამართლიანი, და კანონმდებლობის შესაბამისი. ○ უსდ-ს ხელმძღვანელობა/მმართველი ორგანო უზრუნველყოფს დაწესებულების საქმიანობის ეფექტიან
--

მართვას.

- უსდ-ის ხელმძღვანელობა უსდ-ს მისიისა და მიზნის შესაბამისად, ხელს უწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების საერთაშორისო თანამშრომლობას და ინტერნაციონალიზაციის პროცესს.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ოფიციალურად, სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული მიზნებისა და აქტივობების განხორციელების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული სტრუქტურა კარგადაა ორგანიზებული. ასევე გამართულია ამ სტრუქტურული ერთეულების ფუნქციონირების ნორმატიული ბაზა. დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების ფუნციები და პასუხისმგებლობები მკაფიოდ არის განსაზღვრული და გამოყოფილი. ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიუებმა დაადასტურა ის, რომ ამ სტრუქტურული ერთეულების პერსონლს ესმის საკუთარი მოვალეობები და პასუხისმგებლობები. პოზიტიურ კონტექსტში შეგვიძლია მაგალითად მოვიტანოთ საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური. ეს სტრუქტურული ერთეული დადებითად გამოირჩევა უნივერსიტეტის ელექტრონული ბაზის სათანადო და მოწესრიგებულ მენეჯმენტით, მათ შორის საუნივერსიტეტო ვირტუალური სერვისების ჩათვლით, მისი მხარდაჭერითა და მონიტორინგით. ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიუებმა და ადგილზე ვიზიტმა, ასევე დაადასტურა, რომ საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს IT ტექნოლოგიების ჩავარდნის, ან სხვა ადგილობრივი თუ გლობალური გაუთვალისწინებელი შემთხვევებისას გააჩნია რისკების შემცირების საკმაოდ მკაფიო გეგმა, რომელიც მნიშვნელოვნად უჭერს მხარს უნივერსიტეტის ბიზნესუწყვეტობას.

ზოგიერთი სტრუქტურული ერთეული, როგორებიცაა სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტი, კარიერული განვითარებისა და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სამსახური, ახლადაა შექმნილი. თვითშეფასების ანგარიშისა და ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიუების თანახმად, დაადასტურდა, რომ ისინი დაარსდა გარე შემფასებლების რეკომენდაციების საფუძველზე. ექსპერტთა ჯგუფი აღიარებს, რომ შემუშავებულია სათანადო ნორმატიული დოკუმენტები იმ სფეროების განსავითარებლად, რომლებიც ამ სტრუქტურულმა ერთეულებმა უნდა უზრუნველყონ, თუმცა, ინტერვიუებმა სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან დაადასტურა, რომ ახლადშექმნილი სტრუქტურების ფუნქციონირებას რეალურ დროში მეტი ეფექტურობა სჭირდება. მაგალითად, სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტს შემუშავებული აქვს სტუდენტებისა და პერსონალის სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობისა და წახალისების სისტემა. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, უნივერსიტეტი უკვე იყენებს წახალისების ისეთ მეთოდს, როგორიცაა საერთაშორისო პუბლიკაციების ან სახელმძღვანელოების დაფინანსება. მიუხედავად ამისა, ინტერვიუებით გამოვლინდა, რომ უნივერსიტეტს სამეცნიერო გრანტების სისტემა, რომელიც ასევე შეთავაზებულია ხელშეწყობის გარკვეულ ფორმად, პრაქტიკაში ჯერ არასდროს გამოუყენებია; უფრო მეტიც, პერსონალის უმეტესმა ნაწილმა არაფერი იცის ამის შესახებ. რაც შეეხება კარიერული განვითარებისა და კურსდამთავრებულების დასაქმების სამსახურს, ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიუებმა გამოავლინა, რომ ზოგიერთმა დაინტერესებულმა მხარემ არაფერი იცის ამ სამსახურის არსებობაზე.

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს პრობლემები აქვს საკუთარი ფუნქციების განხორციელებაში. უნივერსიტეტის ინგლისურენოვანი ვებ-საიტი განუვითარებელია უნივერსიტეტის შესახებ ინგლისურ ენაზე მოწოდებული ინფორმაციის თვალსაზრისით. იგი არ იძლევა რაიმე ინფორმაციას უსდ-ს ისეთ მნიშვნელოვან სფეროებზე, როგორებიცაა მისია, სტრატეგიული განვითარების გეგმა, ან ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა, უსდ-ს აქტივობები, სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, ჩარიცხვის კრიტერიუმები, მოსალოდნელი სწავლის შედეგები ან მისანიჭებელი ლვალისფერობა. ადგილზე ინტერვიუებისას დაინტერესებულმა მხარეებმა ასევე გამოხატეს საკუთარი უკმაყოფილება უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის პოპულარიზაციის დონის დაბალი ეფექტიანობის გამო.

სპორტუნის აქვს გამჭვირვალე და სამართლიანი საარჩევნო სისტემა. უნივერსიტეტის მმართველი ორგანოების არჩევნები/დანიშვნა ხდება წინასწარ განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად. თვითშეფასების ანგარიშმა, შესაბამისმა დოკუმენტებმა და ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩატარებულმა ინტერვიუებმა დაადასტურა, რომ სპორტუნის ამ მიზნით შემუშავებული აქვს სწორი რეგულაციები და ეფექტიანად იყენებს მათ პრაქტიკაში. აკადემიური საბჭოს, წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები, ფაკულტეტის საბჭოები და აკადემიური პერსონალი ინფორმირებულია უნივერსიტეტის მმართველი ორგანოების დანიშვნის/არჩევის ყველა პროცედურის თაობაზე.

თითოეულ ფაკულტეტს აქვს მკაფიოდ განსაზღვრული კონკრეტული პროფილი, პროგრამების შემუშავება ხდება შრომის ბაზრის გამოკითხვის შედეგების საფუძველზე, წარდგენა ხდება ფაკულტეტების მიერ და ექვემდებარება ფაკულტეტის საბჭოს, აკადემიური საბჭოს, წარმომადგენლობითი საბჭოს და სტუდენტების მიერ დამტკიცებას.

უნივერსიტეტის მმართველი ორგანო უზრუნველყოფს დაწესებულების საქმიანობის ეფექტიანად მართვას. საქმისწარმოების რეგულირება ხდება შესაბამისი კანონით დადგენილი წესების საფუძველზე; დაწესებულების მენეჯმენტი იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებს, მათ შორის ელექტრონული საქმისწარმოების სისტემას, ე.წ. e-flow-ს. უნდა აღინიშნოს, რომ თვითშეფასების ანგარიშის წარმოდგენასა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ ადგილზე ვიზიტს შორის პერიოდში, უნივერსიტეტმა დანერგა ზემოაღნიშნული ელექტრონული საქმისწარმოების სისტემა. თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნული იყო მხოლოდ ამ სისტემის მომავალში დანერგვის განზრახვა. დაწესებულება აწარმოებს საგანმანათლებლო დაწესებულების რეესტრს შესაბამისი რეგულაციების მიხედვით.

სპორტუნის გააჩნია ბიზნეს უწყვეტობის გეგმა, დივერსიფიცირებული რისკების პრევენციისა და შემცირების სტრატეგიითა და პროცედურებით.

სპორტუნის შემუშავებული აქვს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის დოკუმენტი. ასევე შექმნილია შესაბამისი სტრუქტურული ერთეული - საერთაშორისო ოფისი. მათ გადაგმული აქვთ გარკვეული ნაბიჯები ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით, რაც ასახულია რიგ ხელშეკრულებებში უცხოურ უსდ-ებთან, ასევე რამოდენიმე Erasmus + მობილობის პროექტში

სტუდენტთა გაცვლის საკმაოდ მცირე რაოდენობით. უნივერსიტეტი არის კულტურისა და სპორტის საერთაშორისო ასოციაციის წევრი და მონაწილეობს ამ ორგანიზაციის ეგიდით ჩატარებულ კონფერენციებში. არსებობს, ასევე, საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი რამოდენიმე ეპიზოდი, როგორცაა საერთაშორისო სამეცნიერო კონგრესის მასპინძლობა და პარტნიორი ორგანიზაციის მოკლევადიანი ვიზიტი "სპორტის მენეჯმენტის" კურსის გასაცნობად. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ სპორტუნის მისიასა და მიზნებს ინტერნაციონალიზაციის თაობაზე, დაწესებულებას აქვს საკმაოდ ამბიციური გეგმები ამ მიმართულებით. ამჟამად არსებული ფაქტიური სიტუაციის შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი ასკვნის, რომ სპორტუნის აქვს ინტერნაციონალიზაციის დაბალი დონე, ხოლო ინტერნაციონალიზაციის მიზნების მისაღწევად მის ხელთ არსებული მექანიზმები - ძალიან სუსტია. კერძოდ, უნივერსიტეტი გეგმავს საერთაშორისო პროგრამების შემუშავებას, თუმცა ინგლისური ენის ცოდნის დონე სტუდენტებში და პერსონალში დაბალია. მართალია, უნივერსიტეტი აცნობიერებს ამ პრობლემას და გეგმავს ინგლისური ენის კურსების შეთავაზებას, თუმცა ამ აქტივობისათვის, ისევე როგორც ინტერნაციონალიზაციისათვის დაგეგმილი ბიუჯეტი სამოქმედო გეგმაში ბუნდოვანია. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, ისევე როგორც ინტერვიუების მიხედვით, ჩვენ შევიტყვეთ, რომ სპორტუნი ცდილობს გახდეს საერთაშორისო დონეზე აღიარებული უსდ. თუმცა, ამ მიმართულების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტი - ინგლისურენოვანი ვებ-საიტი - განუვითარებელია. გარდა ამისა, ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიუებმა გამოავლინა, რომ საერთაშორისო თანამშრომლობაში მთავარი მოთამაშე არის საერთაშორისო ურთიერთობების ოფისი, რომელსაც მიმართავენ ფაკულტეტები და პერსონალი შესაძლო თანამშრომლობაზე კონტრაქტების წარმოდგენის თხოვნით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

სპორტუნის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში

ინტერვიუს შედეგები

დანართი 2,1. სასწავლო უნივერსიტეტის სტრუქტურა

დანართი 1,1. სასწავლო უნივერსიტეტის წესდება.

დანართი 2,2. სასწავლო უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების დებულებები

დანართი 2,3. სასწავლო უნივერსიტეტის მართველი ორგანოების არჩევისა და დანიშვნის წესი

დანართი 2,4. სასწავლო უნივერსიტეტის საქმისწარმოების ზოგადი წესი

დანართი 2,5. სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სახელმძღვანელო

დანართი 2,6. სასწავლო უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა

დანართი 2,7. ურთიერთგაგების მემორანდუმები საერთაშორისო პარტნიორებთან

დანართი 1,3. სასწავლო უნივერსიტეტში ჩატარებული გამოკითხვის შედეგები

დანართი 1,5. სასწავლო უნივერსიტეტის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა

დანართი 1,6. სასწავლო უნივერსიტეტის სამწლიანი სამოქმედო გეგმა

რეკომენდაციები:

გააფართოვეთ და ხელი შეუწვეთ სამეცნიერო კვლევების, კარიერული განვითარებისა და კურსდამთავრებულთა დასაქმების სამსახურების ფუნქციონირებას.

გადაიხედოს და განვითარდეს საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახურის საქმიანობა. გაუმჯობესდეს ინტერნაციონალიზაციის მექანიზმები და სტუდენტთა და პერსონალის ჩართულობა ინტერნაციონალიზაციის პროცესში. მკაფიოდ განისაზღვროს ინტერნაციონალიზაციისათვის გამოყოფილი ფინანსური რესურსები.

რჩევები:
სასურველია, რომ ფაკულტეტები და პროგრამები იყვნენ ასევე საერთაშორისო თანამშრომლობის ინიციატორები. ეს გახდის საერთაშორისო თანამშრომლობას უფრო მიზნობრივს პროგრამებისა და სპეციალობების დონეზე.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
პრაქტიკა, რომელიც განსაკუთრებით ეფექტურია და შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის

შეფასება
მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- x ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები

- დაწესებულებაში ეფექტურად ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. უსდ-ის ხელმძღვანელობა მუდმივად ზრუნავს ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის გაძლიერებაზე და ხელს უწყობს უსდ-ში ხარისხის კულტურის დამკვიდრებას.
- უსდ-ს აქვს სტუდენტთა კონტინენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც თითოეულ სტუდენტს მისცემს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სპორტუნში ხარისხის შიდა უზრუნველყოფა იმართება და კოორდინირდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პასუხისმგებლობები დელეგირებულია ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებზე. თუ ვიმსჯელებთ როგორც წარმოდგენილი დოკუმენტებით, ისევე ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩატარებული ინტერვიუებით, შეგვიძლია დავადასტუროთ, რომ ცენტრალური და ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები ფუნქციონირებენ კოორდინირებულად და დაწესებულებას გამოყოფილი აქვს შესაბამისი ადამიანური, საინფორმაციო და მატერიალური რესურსები სპორტუნში ხარისხის კულტურის განსავითარებლად.

აღსანიშნავია, რომ ეფექტური ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის განხორციელების მიზნით, სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების, სტუდენტების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართულობით, უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო. შემუშავებულ სახელმძღვანელოზე დაყრდნობით,

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარდა გამოკითხვა ორგანიზაციის ხარისხის კულტურის შეფასების, საჭიროებებისა და სუსტი მხარეების დადგენისა და ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად შესაბამისი ზომების გატარების მიზნით. უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებითა და ჩატარებული ინტერვიუებით დასტურდება შეფასების პროცესში სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა. მიუხედავად ამისა, გარე შემფასებელთა შორის იყვნენ ისეთები, რომელთაც არაფერი სმენიათ უნივერსიტეტის სტრუქტურაში ახლახან განხორციელებულ ცვლილებებზე - კარიერული განვითარებისა და კურსდამთავრებულთა დასაქმების სამსახურების დამატებაზე.

სპორტუნის ადმინისტრაცია იღებს გადაწყვეტილებებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ წარმოდგენილი შეფასების შედეგებზე დაყრდნობით. შეფასების შედეგები გამოიყენება აქტივობების შემდგომი განვითარებისათვის. სპორტუნის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეკომენდაციების შედეგად განხორციელებული ცვლილებები და აქტივობები მოიცავს შემდეგს: (1) სასწავლო რესურსების გაუმჯობესებას აკადემიური პროგრამების მიხედვით; (2) სამეცნიერო კომპონენტის შეფასების კრიტერიუმების შემუშავებას; (3) აკადემიური პერსონალის მონაწილეობის ხელშეწყობას ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში (ავილირებული პერსონალისათვის ფინანსური დახმარების ჩათვლით); (4) ცვლილებები განხორციელდა პროგრამის კურიკულუმის დონეზე - გარე დაინტერესებულ მხარეთა რეკომენდაციების საფუძველზე ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საბაკალავრო პროგრამაში "დოპინგის" კურსის დამატებით. (5) პროგრამა განახლდა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს განახლებული სტანდარტების მიხედვით; (6) სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დახმარების მიზნით შეიქმნა ახალი სტრუქტურა - კარიერული განვითარებისა და კურსდამთავრებულთა დასაქმების სამსახური.

აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალისათვის უნივერსიტეტმა შეიმუშავა საქმიანობის შეფასების სისტემა; წარმოდგენილი დოკუმენტებით, ისევე როგორც ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიუებით დადასტურდა, რომ უნივერსიტეტის პერსონალი იცნობს მათი საქმიანობის შეფასების მექანიზმებს; თუმცა, ასევე აღსანიშნავია, რომ საქმიანობის შეფასების სისტემა ახალი შემოღებულია და პროცესი ჯერ არაა სრულად დანერგული. ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიუებმა პერსონალთან დადასტურა, რომ ისინი ჯერ არ გაცნობიან პერსონალის საქმიანობის შეფასების შედეგებს და შეფასების ეს შედეგები ჯერ არ გამოყენებულა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში (დეტალური ინფორმაცია იხილეთ სტანდარტში 4).

სპორტუნიმ შეიმუშავა სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მექანიზმები. უნივერსიტეტი ატარებს გამოკითხვებს თითოეული პროგრამისათვის სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მიზნით. გამოკითხვა იძლევა სტატისტიკურ მონაცემებს შემდეგ კრიტერიუმებზე დაყრდნობით: პროცენტული თანაფარდობა 1. სტუდენტებისა, რომლებიც დარეგისტრირდნენ შუალედური/საბოლოო გამოცდებისათვის. 2. სტუდენტებისა, რომლებმაც ჩააბარეს გამოცდები; 3. სტუდენტებისა, რომლებიც ჩაიჭრნენ შუალედურ/საბოლოო გამოცდებზე. 4. სტუდენტებისა, რომლებმაც გადაიტანეს საბოლოო

გამოცდები. 5. სტუდენტებისა, რომლებიც რეგისტრირებულნი იყვნენ გამოცდისათვის, მაგრამ არ გამოცხადნენ. სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებისა და ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით, სპორტუნის სთავაზობს სტუდენტებს საკუნსულტაციო მომსახურებას, რომელსაც ახორციელებს თითოეული აკადემიური მოდულის პროფესორი/მასწავლებელი. ასევე აღსანიშნავია, რომ სტუდენტთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად, უნივერსიტეტმა შეიმუშავა მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტთა წახალისების მექანიზმი - მაღალი აკადემიური მიღწევებისათვის სტუდენტათვის ფინანსური დახმარების - სტიპენდიის დანიშვნა. სტიპენდიის ოდენობა და პირობები (მაგალითად მინიმალური GPA), ისევე, როგორც დასაჯილდოვებელ სტუდენტთა რაოდენობა, განისაზღვრება აკადემიური წლის დასაწყისში რექტორის ინდივიდუალური ბრძანებით. ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიუებმა სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან დაადასტურა, რომ სტიპენდიების გაცემის სისტემა სპორტუნში პრაქტიკაში მოქმედებს. ექსპერტთა ჯგუფი მიზანშეწონილად მიიჩნევს რომ უნივერსიტეტმა განსაზღვროს მინიმალური GPA და სტიპენდიანტების რაოდენობა ერთ აკადემიურ წელზე უფრო გრძელი ვადით. ეს იქნებოდა უფრო ეფექტური და ხელს შეუწყობდა სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მდგრადობას და მათ მოტივირებას იმ შემთხვევაში, თუ თითოეული აკადემიური წლის დასაწყისში სტუდენტები არ მოელიან ცვლილებებს სტიპენდიების გაცემის წესში.

აკადემიურ, ისევე როგორც ადმინისტრაციულ პერსონალთან ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიუებმა გამოავლინა, რომ მათი წვლილი სწავლების ხარისხის, მეთოდოლოგიის ან უნარების განვითარებაში უმნიშვნელოა. უფრო მეტიც, ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიუებმა გამოავლინა, რომ უნივერსიტეტის პერსონალს არ სმენია IT ტექნოლოგიების ტრენინგ კურსების შესახებ, რომელსაც სთავაზობს მათი უნივერსიტეტი მათივე პროფესიული განვითარების მიზნით.

სპორტუნის შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და გაუმჯობესების მექანიზმები. აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტებთან და გარე დაინტერესებულ პირებთან ერთად (დამსაქმებლები და კურსდამთავრებულები) აქტიურად არიან ჩართულნი მათ განხორციელებაში. ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიუებმა, ისევე, როგორც დაწესებულების მიერ წარმოდგენილმა გამოკითხვებმა, დაადასტურეს, რომ სპორტუნის მიერ შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და გაუმჯობესების მექანიზმები ხორციელდება პრაქტიკაში. მაგალითად, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, გარე დაინტერესებული მხარის რეკომენდაციით, საბაკალავრო პროგრამისათვის ფიზიკური აღზრდა და სპორტი შემუშავდა კურსი "დოპინგი"; ახალი სტრუქტურა - კარიერული განვითარებისა და კურსდამთავრებულთა დასაქმების სამსახური - შეიქმნა სტუდენტთა რეკომენდაციების საფუძველზე სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასახმარებლად.

სპორტუნის პერიოდულად აფასებს საკუთარი მომსახურებების ხარისხს, მატერიალურ და ტექნიკურ რესურსებს. უნივერსიტეტი ახორციელებს გამოკითხვებს განსაკუთრებული კითხვარების საფუძველზე. გარდა ამისა, დაწესებულებას შემუშავებული აქვს ე.წ. "იდეების

ყუთი", სტუდენტთა უკუკავშირის შესაგროვებლად უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული მომსახურებების თაობაზე. შეფასების შედეგები გამოიყენება მათი შემდგომი განხორციელებისთვის. ხარისხის შეფასების პროცედურები და მექანიზმები დეტალურადაა აღწერილი უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულ ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელოში (შემდგომი ინფორმაციისათვის იხილეთ სტანდარტი 7).

სპორტუნის შეფასების აქტივობები ტარდება წელიწადში ერთხელ ან ორჯერ. შეფასებების სიხშირე ვარირებს შესაფასებელი ობიექტის სპეციფიკიდან გამომდინარე. ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიუებით დადასტურდა შეფასებების მსგავსი სიხშირე და სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა შეფასების პროცესში.

სპორტუნის შემუშავებული აქვს სტუდენტური კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც ხორციელდება უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად. სტუდენტური კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია გვთავაზობს სტუდენტის - აკადემიური პერსონალის თანაფარდობის განსაზღვრის მოქნილ სისტემას. ადმინისტრაციასთან ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიუებმა დაადასტურა, რომ ამჟამად სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის თანაფარდობა შეადგენს დაახლოებით 9 : 1. სტუდენტური კონტინგენტის დაგეგმვისათვის ითვალისწინებენ ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორებს, როგორებიცაა აუდიტორიები, შეთავაზებული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა, საინფორმაციო და მატერიალური რესურსების ხელმისაწვდომობა და სხვ. იმედია ეს შესაძლებლობას მისცემს სპორტუნის სტუდენტებს მიიღონ მაღალი ხარისხის განათლება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

სპორტუნის თვითშეფასების ანგარიში

ინტერვიუს შედეგები

დანართი 2,5. სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სახელმძღვანელო

დანართი 1,3. სასწავლო უნივერსიტეტში ჩატარებული გამოკითხვის შედეგები

დანართი 1,5. სასწავლო უნივერსიტეტის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა

დანართი 1,4. ერთობლივი ანგარიში სასწავლო უნივერსიტეტის საქმიანობაზე (2014-2019წწ.).

დანართი 2,8. სტუდენტური კონტინგენტისა და აკადემიური სტაფის დაგეგმვის მეთოდოლოგია

დანართი 5,2. სტუდენტთა ფინანსური დახმარების მექანიზმების დებულება.

რეკომენდაციები:

გაუმჯობესდეს სწავლების ხარისხის სრულყოფის მექანიზმი.

ამაღლდეს შიდა და გარე შემფასებელთა ცნობიერება საუნივერსიტეტო ცხოვრების ყველა დონეზე მიმდინარე მნიშვნელოვანი ცვლილებების შესახებ.

უზრუნველყოფილ იქნეს გარე დაინტერესებულ მხარეთა მეტი ჩართულობა ხარისხის შიდა უზრუნველყოფის პროცესებში.

უზრუნველყოფილ იქნეს პერსონალის შეფასების მექანიზმის დანერგვა და შეფასების შედეგების გამოყენება გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

რჩევები:

სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად ეფექტიანი იქნებოდა ისეთი პედაგოგიკის დანერგვა, როგორცაა კოლეგიალური დაკვირვება. ეს ხელს შეუწყობდა კოლეგებს შორის საუკეთესო გამოცდილების გაზიარებას.

ექსპერტთა ჯგუფი მიზანშეწონილად მიიჩნევს უნივერსიტეტმა განსაზღვროს მინიმალური GPA და სტიპენდიანტების რაოდენობა ერთ აკადემიურ წელზე უფრო გრძელი ვადით.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

პრაქტიკა, რომელიც განსაკუთრებით ეფექტურია და შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის

შეფასება

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- x ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა

- უსდ-ში შემუშავებულია რეგულაციები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას. აღნიშნული რეგულაციები საჯაროდ ხელმისაწვდომია.
- უსდ-ს დანერგილი აქვს პლაგიატის აღმოჩენისა და თავიდან აცილების მექანიზმები.
- უსდ იცავს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სპორტუნიმ სტუდენტებისა და თანამშრომლებისთვის შეიმუშავა ეთიკის კოდექსი, რომელიც განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. უნივერსიტეტმა განსაზღვრა ამ რეგულაციის დარღვევაზე რეაგირების პროცედურები. თვითშეფასებაში არსებულმა განცხადებებმა და ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიუებმა დაადასტურა, რომ ეთიკის კოდექსს სტუდენტებს აცნობენ სწავლის პირველი კვირის განმავლობაში. იგი ასევე შედის სტუდენტებისა და თანამშრომლების ხელშეკრულებებში. ამასთან, სასწავლო წლის განმავლობაში უნივერსიტეტი რამდენჯერმე ატარებს სპეციალურ სემინარებსა და ინფორმაციულ შეხვედრებს. უნივერსიტეტმა შექმნა ეთიკის მუდმივმოქმედი კომისია. კომისიის მოვალეობა არ შემოიფარგლება მხოლოდ დარღვევის შემთხვევების შესწავლით და რეაგირებით, არამედ მხარს უჭერს სტუდენტებსა და პერსონალს ამგვარი დარღვევების პრევენციაში, მათი ინფორმირებითა და სიახლეების გაცნობით. ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიუების დროს გაირკვა, რომ ეთიკის კოდექსის დარღვევის შემთხვევები ჯერ არ დაფიქსირებულა.

პლაგიატთან დაკავშირებით უნივერსიტეტმა შეიმუშავა სპეციალური რეგულაციები, რომლებიც ასევე ვებგვერდზეა განთავსებული და საჯაროა. სხვა სახელმწიფო უნივერსიტეტთან პარტნიორობის ფარგლებში, უნივერსიტეტმა ასევე ხელი მოაწერა შეთანხმებას პლაგიატის აღმოჩენის პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენების შესახებ, თუმცა, როგორც ჯგუფთან ინტერვიუებით დადასტურდა, სპორტუნის ეს პროგრამა პრაქტიკაში არასოდეს გამოუყენებია. რაც შეეხება პლაგიატის გამოვლენას საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომებში, პერსონალის კომენტარების თანახმად, ბაკალავრიატის/მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტების ნაშრომის ხელმძღვანელის მოვალეობაა შეამოწმოს ის პლაგიატზე. უნივერსიტეტის მიერ პლაგიატის პრევენციის კიდევ ერთი საშუალებაა ვებგვერდებზე სტუდენტებისა და თანამშრომლების ნაშრომების საჯაროდ განთავსება. პლაგიატის შემთხვევები არასოდეს გამოვლენილა. ექსპერტთა ჯგუფი ამ ზომებს არ მიიჩნევს ადეკვატურად და საკმარისად პლაგიატის შემოწმებისთვის, ან მასთან საბრძოლველად.

მიგვაჩნია, რომ, განხორციელების დონეზე, ანტიპლაგიატის მექანიზმები და პროცედურები სწორად არ მუშაობს სპორტუნში და ეს საკითხი უნივერსიტეტის მხრიდან მეტ ძალისხმევას მოითხოვს. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, სპორტუნში უკვე გააფორმა კონტრაქტი სხვა პარტნიორ უნივერსიტეტთან ანტიპლაგიატის კომპიუტერული პროგრამის გამოყენების შესახებ. თუმცა ექსპერტებმა ვერ მიიღეს დამატებითი ინფორმაცია, თუ რომელ პროგრამას გამოიყენებენ. ასევე, მათ ვერ მოიპოვეს ინფორმაცია ფინანსურ საკითხებზე, მაგალითად, რა ეღირება ეს უნივერსიტეტისთვის და როგორ განაწილდება ხარჯები. აქედან გამომდინარე, უნივერსიტეტმა უნდა გადადგას პრაქტიკული ნაბიჯები, რათა შეიქმნას პროგრამა პლაგიატის კუთხით ნაშრომების შესამოწმებლად.

სხვადასხვა ნორმატიულ დოკუმენტში და ეთიკის კოდექსში სპორტუნი აცხადებს, რომ იცავს და იზიარებს აკადემიური თავისუფლებისა და კეთილსინდისიერების პრინციპებს და ითვალისწინებს მათ ყოველდღიურ საქმიანობაში.

ამასთან, ექსპერტთა ჯგუფის მიერ აკადემიურ პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუებიდან გაირკვა, რომ მათი უმრავლესობა კარგად არ იცნობს აკადემიური თავისუფლებისა და კეთილსინდისიერების კონცეფციას ან შედეგებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

სპორტუნის თვითშეფასების ანგარიში

დანართი 2.9. სასწავლო უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსი

დანართი 2.10. სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთან გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუში

დანართი 2.11. 4.1.12. პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუში

დანართი 2.12. სასწავლო უნივერსიტეტის შინაგანაწესი

დანართი 2.13. პლაგიატის გამოვლენისა და პრევენციის მექანიზმები და პლაგიატის შემთხვევებზე რეაგირების პროცედურები

დანართი 2.14. შეთანხმება პლაგიატის გამოვლენის პროგრამული უზრუნველყოფის

<p>გამოყენების შესახებ (ელექტრონული პროგრამა)</p> <p>დანართი 1.3. სასწავლო უნივერსიტეტში ჩატარებული ინტერვიუების კვლევის შედეგები</p> <p>გასაუბრებების შედეგები</p>
<p>რეკომენდაციები:</p> <p>დანერგეთ და გამოიყენეთ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ანტიპლაგიატის მექანიზმები.</p> <p>გამოიყენეთ ანტიპლაგიატის მექანიზმები (პროგრამა) სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის ნაშრომების შემოწმებისას.</p> <p>ამაღლეთ სტუდენტებისა და პერსონალის ცნობიერება აკადემიური თავისუფლებისა და კეთილსინდისიერების პრინციპების კუთხით.</p>
<p>რჩევები:</p> <p>არასავალდებულო რჩევები შემდგომი განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):</p> <p>პრაქტიკა, რომელიც განსაკუთრებით ეფექტურია და შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის</p>
<p>შეფასება</p> <p>მიზნინეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

3. საგანმანათლებლო პროგრამები

უსდ-ს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარებისა და გაუქმების პროცედურები. პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. პროგრამა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

<p>3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება</p> <p>უსდ-ს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების პოლიტიკა.</p>
<p>სპორტუნის აქვს სპეციფიკური ხასიათი და ეს სპეციფიკა, პირველ რიგში, ასახულია მისი მისიის განცხადი. იქ აღნიშნულია, რომ უნივერსიტეტის მისიაა „საქართველოში სამოყვარულო და პროფესიულისპორტის განვითარების ხელშეწყობა ფიზიკური აღზრდისა და სპორტული წვრთნის, სპორტისმენეჯმენტისა და ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის სფეროში ღრმა კომპეტენციის მქონესპეციალისტების მომზადების გზით.</p>

რისთვისაც იგი, შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით, ახორციელებს აკადემიურ საგანმანათლებლო პროგრამებს და გამოყენებით სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, ხელს უწყობს სტუდენტების ჰარმონიულ განვითარებას და მათ სწრაფ ადაპტაციას როგორც ეროვნულ, ისევე საერთაშორისო შრომით ბაზრებზე. სასწავლო უნივერსიტეტი სრულად აცნობიერებს სოციალური პასუხისმგებლობის მნიშვნელობას, მათ შორის მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს საქართველოს მოსახლეობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას".

ზემოხსენებული მისიის განაცხადის კონცეფციის საფუძველზე, უნივერსიტეტმა შეიმუშავა სასწავლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, შეცვლისა და გაუქმების პოლიტიკა. ეს დოკუმენტი წარმოადგენს ყოვლისმომცველ განცხადებას საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, შეცვლისა და გაუქმების შესახებ. უსდ საგანმანათლებლო პროგრამების ინიცირებას ახორციელებს მათი შემუშავების საჭიროების დადგენის შედეგად. უნივერსიტეტი ასევე მხარს უჭერს მათ მუდმივ განვითარებას სხვადასხვა შიდა და გარე დაინტერესებული მხარეების მიერ მოწოდებული უკუკავშირის საფუძველზე. კერძოდ, საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისთვის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ყოველწლიურად აფასებს მის განხორციელებას უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების გამოყენებით, მათ შორის:

- ატარებს კვლევებს სტუდენტის, კურსდამთავრებულის, დამსაქმებლის კმაყოფილების შესახებ;
- ატარებს კვლევებს პროგრამის განხორციელებისა და პერსონალის ეფექტურობის შესახებ.
- ახდენს სასწავლო მასალების განახლებას;
- აანალიზებს სტუდენტის აკადემიურ მოსწრებას;
- ახორციელებს სასწავლო გეგმისა და სასწავლო კურსების რეგულარულ ტექნიკურ ექსპერტიზას;
- ახდენს ლიტერატურის, ფიზიკური და ტექნიკური ბაზის ხარისხის რეგულარულ მონიტორინგს.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩატარებული ინტერვიუებით დადგინდა, რომ საგანმანათლებლო პროგრამისა და სილაბუსების შედგენასა და შემუშავებაში მონაწილეობდა კვალიფიციური აკადემიური და მოწვეული პერსონალი, პროგრამის ხელმძღვანელი აგროვებს მონაცემებს სხვადასხვა გამოკითხვებიდან, რომლებიც ტარდება მაგალითად, სტუდენტებთან, ფაკულტეტებთან, დაინტერესებულ მხარეებთან. ჯგუფის მიერ ჩატარებულმა ინტერვიუებმა დაადასტურა, რომ, სტუდენტების მოთხოვნიდან გამომდინარე, ცვლილება შევიდა ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის სამაგისტრო პროგრამაში. მათ შემოიტანეს "სპორტის ბიოქიმიის" კურსი.

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი განიხილავს და ითვალისწინებს სხვადასხვა პროფესიული სპორტული ასოციაციების მიერ შემოთავაზებულ რეკომენდაციებს. მაგალითად, სპორტის საერთაშორისო ასოციაციაზე დაყრდნობით, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში დაამატეს კურსი: „დოპინგი“.

აღსანიშნავია, რომ მწვრთნელთა ფაკულტეტის კურსდამთავრებულები იღებენ მწვრთნელის ლიცენზიას "C" კატეგორიით. მიგვაჩნია, რომ ეს არის მნიშვნელოვანი წვლილი კურსდამთავრებულთა პროფესიულ და კარიერულ შესაძლებლობებში.

მიუხედავად ზემოთ მოყვანილი ყველა დადებითი უკუკავშირისა, ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ სტუდენტებს სჭირდებათ უნივერსიტეტის მეტი მხარდაჭერა პრაქტიკული უნარების განვითარებაში. ეს საჭიროება გამოიკვეთა კურსდამთავრებულებთან ინტერვიუებში. მათ სურდათ, რომ უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში ჰქონოდათ პრაქტიკის მეტი შესაძლებლობა სხვადასხვა სარეაბილიტაციო ცენტრში. მათ ექნებოდათ უკეთესი შესაძლებლობები გაცნობოდნენ სხვადასხვა მეთოდოლოგიასა და გამოცდილებასპრაქტიკაში; მსგავსმა რეკომენდაციამ გაიჟღერა დამსაქმებლისგან, რომელმაც თქვა, რომ სპორტუნის კურსდამთავრებულებს არ აქვთ "რეალურ დროში რეალური გამოცდილება".

ინტერვიუების დროს ასევე გაირკვა, რომ სასურველია ორივე ფაკულტეტზე პროგრამები კიდევ უფრო გაუმჯობესდეს გამოჩენილ სპორტსმენებთან, პედაგოგებთან, ჯანდაცვის მენეჯერებთან, ექიმებთან და რეაბილიტაციის სპეციალისტებთან მჭიდრო თანამშრომლობის საშუალებით. როგორც ჩანს, ეს ახალი გამოწვევაა შემდგომი თანამშრომლობისთვის და ინტერდისციპლინარული განათლების განვითარებისათვის.

კურსდამთავრებულები ასევე ისურვებდნენ ჰქონოდათ სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა სადოქტორო პროგრამაზე სპორტისა და სამედიცინო რეაბილიტაციის მიმართულებით. ეს მათთვის იქნებოდა ახალი ცხოვრებისეული გამოწვევა..

გარდა საგანმანათლებლო პროგრამისა, უსდ ახორციელებს სპეციალურ პროგრამას სკოლის დონეზე მწვრთნელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, რაც უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის შესანიშნავი მაგალითია.

რაც შეეხება პროგრამებში შესულ ცვლილებებს - მათ ახორციელებს პროგრამის ხელმძღვანელი. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების განხორციელება ხელს უნდა ეუწყობდეს მის მუდმივ გაუმჯობესებას. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების შეტანა შესაძლებელია შესაბამისი სემესტრის დაწყებამდე არა უგვიანეს ორი კვირისა. პროგრამის შეცვლის ინიციატივა, ფაკულტეტის მიერ დამტკიცების შემდეგ, წარედგინება ფაკულტეტის საბჭოს, რომელიც, დამტკიცების შემთხვევაში, ცვლილებების პაკეტს წარუდგენს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, შემდეგ კი აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად.

სპორტუნის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების, ცვლილებისა და გაუქმების

შესახებ შემუშავებული რეგულაციებისა და პორცედურების მიხედვით, პროგრამა შეიძლება გაუქმდეს შემდეგი ფაქტორების გამო:

- პროგრამის რისკ-ფაქტორი, როგორცაა ადეკვატური ადამიანური და/ან ფიზიკური რესურსების არ ქონა.
- სტუდენტების ნაკლები ინტერესი პროგრამის მიმართ დამსაქმებლისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების ცვლილების გამო.
- დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვის, ბაზრის კვლევის შედეგები.
- სტუდენტთა დასაქმების, სტუდენტთა ჩარიცხვებისა და პროგრამის განსაზღვრულ ვადებში დასრულების დაბალი მაჩვენებლები.
- საგანმანათლებლო პროგრამის საკანონმდებლო მოთხოვნებთან შეუსაბამობა.
- კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმება განიხილება ფაკულტეტის საბჭოზე, რომელიც შემდეგ გადაწყვეტილებას წარუდგენს აკადემიურ საბჭოს განსახილველად და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად. შეუსაბამობის დადგენის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა სამუშაო ჯგუფს უბრუნდება დამატებითი დამუშავებისთვის.

ჯგუფის მიერ ჩატარებული ინტერვიუებით დადასტურდა, რომ უნივერსიტეტის თანამშრომლები კარგად იცნობენ ამ პროცედურას და იცავენ მას. პროგრამის შეცვლის / გაუქმების შემთხვევაში, უნივერსიტეტი სტუდენტებს უქმნის საგანმანათლებლო პროგრამის უპრობლემოდ დასრულების ალტერნატიულ შესაძლებლობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

სპორტუნის თვითშეფასების ანგარიში

გასაუბრებების შედეგები

დანართი 3.1. საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, შეცვლისა და გაუქმების წესი

დანართი 3.2. საგანმანათლებლო პროგრამები

დანართი 2.5. სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სახელმძღვანელო

რეკომენდაციები:

გარე დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით, მეტი ყურადღება მიაქციეთ სტუდენტთა პრაქტიკული უნარების განვითარებას.

რჩევები:

სასურველია, უნივერსიტეტმა სადოქტორო პროგრამის შემუშავებისას გაითვალისწინოს კურსდამთავრებულთა საჭიროებები.

სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამებში დაინერგოს ინტეგრირებული, ინტერდისციპლინარული მიდგომები.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

აღსანიშნავია, რომ მწვრთნელთა ფაკულტეტის კურსდამთავრებულები იღებენ მწვრთნელის ლიცენზიას "C" კატეგორიით. მიგვაჩნია, რომ ეს არის მნიშვნელოვანი წვლილი კურსდამთავრებულთა პროფესიულ და კარიერულ შესაძლებლობებში.

შეფასება

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი

- o პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების საფეხურის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.
- o ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მეშვეობით უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებას და მათ შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში.

უნივერსიტეტში პროგრამების ხელმძღვანელები აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან, დაინტერესებულ მხარეებთან და სპორტის ფედერაციების წარმომადგენლებთან მჭიდრო თანამშრომლობის ფარგლებში, შეიმუშავენ პროგრამებს ქვეყანაში მოქმედი შიდა რეგულაციებისა და კანონმდებლობის შესაბამისად, კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) სახელმძღვანელო მითითებების საფუძველზე.

ამჟამად უსდ უზრუნველყოფს 10 ავტორიზებულ / აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამას უნივერსიტეტში, მათ შორის ხუთი საბაკალავრო პროგრამაა, სამი - სამაგისტრო, ერთი - მასწავლებელთა მომზადების 60-კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამა და ერთიც - ქართული ენის 60-კრედიტიანი კურსი. კრედიტები გამოყოფილია საგანმანათლებლო პროგრამების თითოეული კომპონენტისათვის და მოიცავს სწავლის შედეგების მიღწევისათვის საჭირო საკონტაქტო და დამოუკიდებელ სასწავლო საათებს. საბაკალავრო პროგრამა მოიცავს მინიმუმ 240 კრედიტს, სამაგისტრო კი - მინიმუმ 120 კრედიტს.

სასწავლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარებისა და გაუქმების პროცედურა აგრეთვე განსაზღვრავს ვალდებულებას, რომ სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებულ იქნეს სასწავლო კრედიტების სპეციფიკა, კურსის შინაარსი, დამოუკიდებელი სამუშაოს ოდენობა და სწავლის მოსალოდნელი შედეგები.

უნივერსიტეტმა ასევე შეიმუშავა პროგრამების, სილაბუსების, სწავლის შედეგების რუკების ჩარჩო და პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. სასწავლო პროგრამის

ფარგლებში გამოყენებული სწავლებისა და სწავლის მეთოდები ასახავს დარგის სპეციფიკას და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. უსდ საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებს ორ ფაკულტეტზე - მწვრთნელთა და ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტებზე.

გარკვეული დარგების სწავლის შედეგები ემყარება დარგის მახასიათებლებს და შეესაბამება კანონით დამტკიცებულ ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და კვალიფიკაციების კოდექსს.

უსდ-მ შეიმუშავა საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომის წარდგენისა და შეფასების ინსტრუქციები და ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სახელმძღვანელო.

სპორტული ყოველწლიურად ახორციელებს პროგრამის შეფასებას სტუდენტების, აკადემიკოსებისა და დაინტერესებული მხარეების კვლევების საფუძველზე. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი პროგრამის ხელმძღვანელებთან და ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის წარმომადგენლებთან ერთად აწყობდნენ შეხვედრებს და სპეციალურ ანგარიშებში აფიქსირებდნენ ყველა ცვლილებას; შემდგომი ცვლილებები დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ.

უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულ რეგულაციებში მითითებულია, რომ საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა ითვალისწინებს მოდიფიცირების შესაძლებლობას ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შესაქმნელად (მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისთვის). გარდა ამისა, დაწესებულება შესაძლებლობას აძლევს სტუდენტებს გადავიდნენ სხვა პროგრამაზე უნივერსიტეტის შიგნით შიდა მობილობის საშუალებით, საჭიროების შემთხვევაში აწვდის მათ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას და ათავისუფლებს დამატებითი კრედიტების გადასახადისგან.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ უნივერსიტეტის პროგრამების სტუდენტებთან ჩატარებული ინტერვიუებიდან გაირკვა, რომ მათ სურთ გაიზარდოს ინგლისური ენის სავალდებულო კურსის კრედიტების რაოდენობა. ჯგუფთან ინტერვიუების დროს დადასტურდა, რომ უნივერსიტეტმა დაადგინა საგანმანათლებლო პროგრამებზე ინგლისური ენის სწავლების გაძლიერების აუცილებლობა. მაგალითად, ინტერვიუების დროს გაირკვა, რომ სამაგისტრო პროგრამებს არ ჰქონდა ინგლისური ენისთვის განსაზღვრული მიღების კრიტერიუმები. ცოტა ხნის წინ პროგრამაში განხორციელდა ცვლილება და მაგისტრატურის შემდეგი გამოცდისთვის სტუდენტებს მოუწევთ დაადასტურონ ინგლისურის ენის ცოდნა B2 დონეზე. ამასთან, ეს მხოლოდ ზეპირი განაცხადია და პროგრამის დოკუმენტებში ასეთი ინფორმაცია არ არის მოცემული. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამაგისტრო პროგრამაში ჩასმული ინგლისური ენის სავალდებულო კურსის სილაბუსი შეესაბამება ინგლისურ ენის დაწყებით დონეს, რაც გაცილებით დაბალია, ვიდრე ინტერვიუს დროს პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა ჩარიცხვის კრიტერიუმებზე საუბრისას (მან თქვა, რომ სამაგისტრო პროგრამაზე

ჩარიცხვის მსურველი სტუდენტების ინგლისური ენის ფლობის დონე უნდა იყოს მინიმუმ B2, რაც საშუალოზე მაღალია).

დაწესებულება უზრუნველყოფს პროგრამების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას ვებგვერდებზე. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება იმ მიზნებს, რომლებიც დაინტერესებულ მხარეებს აქვთ დაწესებულების საგანმანათლებლო საქმიანობის კუთხით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

ინტერვიუს შედეგები

სპორტუნის თვითშეფასების ანგარიში

დანართი 3.1. საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, შეცვლისა და გაუქმების წესი

დანართი 3.2. საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსები

რეკომენდაციები:

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამაგისტრო პროგრამაზე დაშვებისათვის მკაფიოდ განსაზღვრეთ პროგრამაში ინგლისური ენის ცოდნის საჭირო დონე.

ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიერ უცხო ენებისთვის დადგენილი სტანდარტების შესაბამისად, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყავით ინგლისური ენის შესაბამისი დონის სასწავლო კურსით.

რჩევები:

არასავალდებულო რჩევები შემდგომი განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

პრაქტიკა, რომელიც განსაკუთრებით ეფექტურია და შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის

შეფასება

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- x მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.3 სწავლის შედეგების შეფასება

უსდ-ში მოქმედი სწავლის შედეგების შეფასების გამჭვირვალე და სამართლიანი სისტემა შეესაბამება კანონმდებლობას და ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსდ-მ შეიმუშავა სტუდენტის შეფასების წესები განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის N.3 ბრძანების შესაბამისად.

დაწესებულების მიერ მოწოდებული დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ უნივერსიტეტმა შეიმუშავა სწავლის შედეგების შეფასების რეგულაციები. პროგრამის სწავლის შედეგები ნათლადაა განსაზღვრული და შეესაბამება უმაღლესი განათლების დონეს, ითვალისწინებს დარგის სპეციფიკასა და მისანიჭებელ კვალიფიკაციებს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩატარებულმა ინტერვიუებმა ასევე დაადასტურა, რომ საგანმანათლებლო პროგრამები მუდმივად ფასდება აკრედიტაციისა და ავტორიზაციის სტანდარტების, ეროვნული საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და უნივერსიტეტის შიდა მოთხოვნების შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამებს აფასებს როგორც ფაკულტეტის, ასევე უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები.

სპორტუნიმ შეიმუშავა შეფასების მკაფიო და გაზომვადი სისტემა. სტუდენტის მიღწევების შეფასების კრიტერიუმები ნათელია და განსხვავდება საგანმანათლებლო პროგრამის (იქნება ეს საბაკალავრო თუ სამაგისტრო პროგრამა) ტიპისა და დონის მიხედვით. იგი აკმაყოფილებს „განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ მოთხოვნებს. სწავლის შედეგების შეფასების სისტემა არის გამჭვირვალე, სამართლიანი და ადვილად ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული მხარისათვის. ინფორმაცია შეფასების სისტემის შესახებ მოცემულია თითოეული კურსის სილაბუსში, ასევე პროგრამის კატალოგში, რომელიც განთავსებულია უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე. ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიუებით დაადასტურდა, რომ სტუდენტები შეფასების სისტემას ეცნობიან სწავლის დასაწყისში. სამართლიანი შეფასების ხელშესაწყობად, უნივერსიტეტმა შეიმუშავა კარგად ორგანიზებული საგამოცდო სისტემა. ინტერვიუებით დაადასტურდა, რომ საგამოცდო ცენტრის სტრუქტურული ერთეული, ფაკულტეტებთან და დეპარტამენტებთან მჭიდრო თანამშრომლობით, უზრუნველყოფს საგამოცდო ტესტების კონფიდენციალობას. აღსანიშნავია, რომ კონფიდენციალობის მიზნით, ტესტები განახლებება ყოველი სემესტრის ბოლოს გამოცდამდე რამდენიმე დღით ადრე.

შეფასების სამართლიანობის უზრუნველსაყოფად, უნივერსიტეტმა შეიმუშავა აპელაციის მკაფიო სისტემა შესაბამისი რეგულაციებით. ამასთან, ჯგუფის მიერ სტუდენტებთან ჩატარებულმა ინტერვიუებმა აჩვენა, რომ მათ ის პრაქტიკაში არასდროს გამოუყენებიათ. როდესაც სტუდენტებს აქვთ გარკვეული ეჭვი და შეკითხვები თავისი ქულების შესახებ, ისინი პრობლემას აგვარებენ შესაბამისი კურსის მასწავლებელთან / ლექტორთან. ფაქტი აჩვენებს, რომ გასაჩივრება ხდება არაფორმალური გზით. ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ გასაჩივრების პროცედურები უნდა იყოს უფრო ოფიციალური და შეესაბამებოდეს უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულ აპელაციის სისტემას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

გასაუბრებების შედეგები

სპორტუნის თვითშეფასების ანგარიში

დანართი 3.4. სასწავლო პროცესის რეგულირების წესი

დანართი 3.2. საგანმანათლებლო პროგრამები, სილაბუსები

<p>დანართი 3.5. საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომისა და მისი ინსტრუქციების შედგენისა და დაცვის წესი</p> <p>დანართი 3.6. - სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების რეგულაციები</p> <p>დანართი 3.7. - აკადემიური კალენდარი</p>
<p>რეკომენდაციები:</p> <p>გაუმჯობესდეს და პრაქტიკაში დაინერგოს შეფასების გასაჩივრების სისტემის მექანიზმები.</p>
<p>რჩევები:</p> <p>არასავალდებულო რჩევები შემდგომი განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):</p> <p>პრაქტიკა, რომელიც განსაკუთრებით ეფექტურია და შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის</p>
<p>შეფასება</p> <p>მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:</p> <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4. უსდ-ის პერსონალი

უსდ უზრუნველყოფს, რომ დაწესებულებაში დასაქმებული პერსონალი (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე) იყოს მაღალკვალიფიციური, რათა შეძლოს საგანმანათლებლო, სამეცნიერო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურად წარმართვა და სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევა. დაწესებულება მუდმივად ზრუნავს თავისი პერსონალის პროფესიულ განვითარებასა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე.

<p>4.1. პერსონალის მართვა</p> <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> უსდ-ს აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესისა და სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული სხვა აქტივობების განხორციელებას. <input type="checkbox"/> უსდ უზრუნველყოფს აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის პოზიციებზე სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრების დასაქმებას.
<p>სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>დაწესებულებას შემუშავებული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა, რომელიც მოიცავს</p>

აკადემიური და არაკადემიური პერსონალის მართვის ზოგად პრინციპებსა და წესებს. პერსონალის მართვის პოლიტიკის მიზანია უნივერსიტეტში დასაქმებული პერსონალის მართვის მიმართულებებისა და მექანიზმების დადგენა, უნივერსიტეტის პერსონალის პროფესიული განვითარების, მოტივაციისა და კარიერული ზრდის ხელშეწყობა და ისეთი გარემოს შექმნა, სადაც თითოეულ თანამშრომელს ექნება შესაძლებლობა მოახდინოს საკუთარი პოტენციალისა და მისწრაფებების რეალიზება სასწავლო უნივერსიტეტის სტრატეგიული მიზნების მიღწევის პროცესში.

აკადემიური და არაკადემიური პერსონალის პროფესიული რეზიუმეებისა და კვალიფიკაციების შესახებ ჩატარებული კონსულტაციების დროს ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა, რომ ისინი ძირითადად შეესაბამება უმაღლესი საგანათლებლო დაწესებულებების საკვალიფიკაციო მოთხოვნებსა და მათი სამუშაოს აღწერილობებს. სპორტუნიმ გამოავლინა გარკვეული ხარვეზები, რომლებიც ძირითადად უკავშირდება ზოგიერთი თანამშრომლის ინგლისური ენისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების უნარებს. ახლო მომავალში ამის გამოწორების ნათელი გეგმა უკვე შემუშავებულია. ამ ხარვეზებმა გარკვეულწილად შეიძლება შეაფერხოს ზოგი ინსტიტუციური მიზნის ეფექტურად შესრულება, ძირითადად, ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებული საკითხების მიმართულებით, მათ შორის ერთობლივი პროგრამების შემუშავება (იხ. აგრეთვე ტექსტი ამ ნაწილის ბოლოს).

დაწესებულებას შემუშავებული აქვს აფილირების პოლიტიკა. აფილირების ვადები და პირობები იწერება აკადემიურ პერსონალსა და დაწესებულებას შორის გაფორმებულ ოფიციალურ შეთანხმებაში, რომელშიც აკადემიური პერსონალის თითოეული წევრი აფიქსირებს თავის აფილირებას მხოლოდ ერთ უმაღლეს სასწავლებელთან. აკრედიტაციის ვიზიტისას ჩატარებული ინტერვიუების დროს ჯგუფმა შეიტყო, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალის უმეტესი ნაწილი იცნობს აფილირების ვადებსა და პირობებს.

დაწესებულებამ შეიმუშავა თანამშრომელთა შეფასების სისტემა, რათა „უზრუნველყოს უნივერსიტეტის თანამშრომელთა პროფესიული უნარებისა და კომპეტენციების ობიექტური შეფასება და წარმატებული თანამშრომლებისათვის შესაბამისი წამახალისებელი და სამოტივაციო აქტივობების იდენტიფიცირება“.აკადემიური პერსონალისთვის, სისტემა ემყარება სტუდენტების გამოკითხვებს, აკადემიურ და სამეცნიერო საქმიანობას (კონფერენციაში მონაწილეობა, პუბლიკაცია და ა.შ.), თვითშეფასებას. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს ევალება აკადემიური პერსონალის შეფასების მონაცემების შეჯამება და ანალიზი. ადამიანური რესურსების დეპარტამენტის პერსონალი არ არის ჩართული სამუშაოს შესრულების მიმოხილვაში ან აკადემიური პერსონალის ადამიანური რესურსების მენეჯმენტის რაიმე სფეროში, მათ შორის ინიცირებაში, პროფესიულ განვითარებაში და ა.შ. ადმინისტრაციული პერსონალის საქმიანობის მიმოხილვა ეკისრება ადამიანური რესურსების მენეჯერს; ის ემყარება მენეჯერის ონლაინ მიმოხილვას და ტარდება ყოველი წლის ბოლოს.

გარდა ამისა, სპორტუნის კვლევის შედეგებზე ფოკუსირებული კვლევების შედეგები, ასევე, სტუდენტების გამოკითხვები გამოიყენება უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და დამხმარე

პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხის შესაფასებლად. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანური რესურსების დეპარტამენტის წარმომადგენლებთან შეხვედრებზე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო თანამშრომელთა შეფასების სისტემას (დანართი #1 თანამშრომელთა შეფასების კითხვარი), როდესაც ადმინისტრაციულ პერსონალს ჰკითხეს, თუ როგორ ხდება მათი საქმიანობის შეფასება, ისინი აღნიშნავენ მხოლოდ სტუდენტების შეფასების ფორმებს.

ჩატარებული შეხვედრების თანახმად, ჯგუფმა დაასკვნა, რადგან თანამშრომელთა შეფასების სისტემა ახლახანს შეიქმნა და ადმინისტრაციული პერსონალი მხოლოდ ერთხელ იქნა შეფასებული, ადმინისტრაციული პერსონალი საკმარისად არ იცნობს შეფასების ახალ სისტემას.

იმის გათვალისწინებით, რომ პერსონალის შეფასების სისტემა მხოლოდ ახლა შემუშავდა და არ გადასულა სრული განხორციელების ეტაპზე, ჯგუფს ჯერ არ შეუძლია შეაფასოს, როგორ იყენებს დაწესებულება პერსონალის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევის შედეგებს პერსონალის მართვის პროცესში. ასევე, მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფი გაეცნო ანაზღაურებისა და წახალისების ზოგად პრინციპებს, ექსპერტები ვერ ადასტურებენ თანამშრომელთა შეფასების შედეგების გათვალისწინებას ამ პროცესში.

საგულისხმოა, რომ ასაკობრივი დისბალანსია აკადემიურ პერსონალში. პერსონალის უმრავლესობა 51 წელზე მეტისაა. უნივერსიტეტი აღიარებს ამ პრობლემას და მას ხსნის სპორტული პროფესიის სპეციფიკით. ახალგაზრდა პროფესიონალები უფრო სპორტული ცხოვრებითა და მიღწევებით არიან დაინტერესებულნი, ვიდრე აკადემიური მოღვაწეობით. ამასთან, თუ არ გატარდება სათანადო ზომები, გრძელვადიან პერსპექტივაში (სტრატეგიული განვითარების გეგმის მიხედვით, 7 წელში) სასწავლო პროგრამების მდგრადობის თვალსაზრისით, ამ პრობლემას შეიძლება ჰქონდეს უარყოფითი შედეგები.

თვითშეფასების თანახმად, "უნივერსიტეტი აღიარებს, რომ პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა მისი ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია" და „უნივერსიტეტისთვის შემდეგი ხუთი სფერო წარმოადგენს პრიორიტეტს პროფესიული განვითარებისათვის: უცხო ენა, სწავლების თანამედროვე მეთოდები, კომპიუტერული უნარები, ეფექტური კომუნიკაცია და პრეზენტაციის ხელოვნება". ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუების შედეგად, ჯგუფმა შეიტყო, რომ შეფასების შედეგების საფუძველზე, დაწესებულებამ დაადგინა ინგლისური ენისა და კომპიუტერული უნარების სწავლების საჭიროებები.

სამოქმედო გეგმის თანახმად, შემდეგი ღონისძიებები უნდა გატარდეს 2021-2022 წლებში: *1.1. განათლებისა და მეცნიერების ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიის შემუშავება და განხორციელება; 1.7. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის ხელშეწყობის მექანიზმების შემუშავება და განხორციელება. საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში ჩაერთვება ადმინისტრაციული და*

დამხმარე პერსონალის არანაკლებ 15% ; 2.10 სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის ხელშეწყობის მექანიზმების განვითარებისა და განხორციელებისთვის, საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში ჩართული იქნება მინიმუმ 20 აკადემიური თანამშრომელი. იმის გათვალისწინებით, რომ ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის ინგლისური ენის ცოდნა ძალიან დაბალ დონეზეა და წარმოადგენს უნივერსიტეტის მთავარ გამოწვევას, ამ ეტაპზე ჩვენი ჯგუფი ვერ ადასტურებს ამ მიზნების მიღწევადობას.

ინგლისური ენის ცოდნის დონის გასაუმჯობესებლად, დაწესებულებამ თავის სამოქმედო გეგმაში ჩასვა შემდეგი მიზანი: 5.5. ტრენინგის სისტემის შემუშავება და განხორციელება, რომელიც მიზნად ისახავს პერსონალის ინგლისური ენის ცოდნის ამაღლებას. ადგილზე ვიზიტისას ჩატარებული ინტერვიუების დროს ჯგუფმა შეიტყო, რომ ინგლისური ენის შემსწავლელი კურსები დაიწყება 2020 წლის ივნისიდან. იმის გათვალისწინებით, რომ ინგლისური ენის შემსწავლელი კურსები ჯერ არ ჩატარებულა, ამ ეტაპზე ექსპერტთა ჯგუფი ვერ შეაფასებს მათ ეფექტურობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პერსონალის მართვის პოლიტიკა
- არაკადემიური პერსონალის დასაქმების კრიტერიუმები და მოთხოვნები
- პერსონალის მართვის პოლიტიკა
- ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიული რეზიუმეები
- აფილირების ვადები პირობები
- ჯგუფის მიერ აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული შეხვედრები

რეკომენდაციები:

- დააზუსტეთ, თუ რა ზეგავლენას ახდენს პერსონალის საქმიანობის შეფასების შედეგები მათი ანაზღაურებისა და წახალისების სისტემაზე.
- უზრუნველყავით, რომ პერსონალის შეფასებისა და საქმიანობის შესწავლის ყველა ინსტრუმენტი შეესატყვისებოდეს მიზანს და იძლეოდეს გაუმჯობესებისათვის საჭირო დეტალურ ინფორმაციას.
- უზრუნველყავით, რომ მთელი ადმინისტრაციული პერსონალი გაეცნოს ახალი შეფასების სისტემას.
- უზრუნველყავით, რომ ინგლისური ენის კურსები სრულყოფილად ჩატარდეს.
- დაწესებულების საქმიანობის ეფექტიანად წარმართვის მიზნით, უზრუნველყავით სამიზნე ნიშნულების დაწესება ყველა თანამშრომლისა და მათ მიერ შესრულებული სამუშაოსათვის.

რჩევები:

არასავალდებულო რჩევები შემდგომი განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

პრაქტიკა, რომელიც განსაკუთრებით ეფექტურია და შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის

შეფასება

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2. აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სამუშაო დატვირთვა

აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და სამუშაო დატვირთვა დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და მათზე დაკისრებული სხვა ფუნქციების ადეკვატურია.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დაწესებულებას შემუშავებული აქვს აკადემიური პერსონალის დატვირთვის სემესტრული განაწილება. სამუშაო პროცესების ძირითადი ასპექტებია სწავლების, სამეცნიერო-კვლევითი, ასევე, ადმინისტრაციული და სოციალური აქტივობები. საკონსულტაციო საათები მოიცავს მინიმუმ ერთ საათს კვირაში. სასწავლო წლის განმავლობაში აკადემიური პერსონალის სრული დატვირთვის მაქსიმალური რაოდენობა: პროფესორებისთვის - 1200 საათი, ასოცირებული პროფესორებისთვის - 1500 საათი, ასისტენტ პროფესორებისთვის - 1600 საათი, ხოლო ასისტენტებისთვის - 950 საათი. სქემა იყოფა აკადემიურ, სამეცნიერო და ადმინისტრაციულ მიმართულებებად: აკადემიური - საკონტაქტო შეხვედრები სტუდენტებთან (ლექციების საათები), აგრეთვე დამოუკიდებელი მუშაობისთვის საჭირო დრო (სასწავლო კურსის მომზადება, სტუდენტური ნაშრომების შეფასება, ბაკალავრიატის და მაგისტრატურის სტუდენტების ნაშრომების ხელმძღვანელობის სამუშაოები) და საკონსულტაციო საათები; სამეცნიერო - მონაწილეობა შესაბამისი დარგის კვლევაში და ინოვაციურ საქმიანობაში. ადმინისტრაციული - მონაწილეობა შესაბამისი დარგის კვლევაში და ინოვაციურ საქმიანობაში.

აკრედიტაციის ვიზიტის დროს დაწესებულებას ჰყავდა 71 აკადემიური თანამშრომელი (პროფესორი - 15, ასოცირებული პროფესორი - 34, ასისტენტ პროფესორი - 15, ასისტენტი - 7) პროგრამების განსახორციელებლად. სტუდენტთა საერთო რაოდენობა იყო 659. უსდ-ს მოთხოვნის მიხედვით, ზღვრული რაოდენობაა 800. აკადემიური პერსონალის თანაფარდობა პროგრამების მიხედვით არის დაახლოებით 11,5. აკადემიური პერსონალის თანაფარდობა სტუდენტთა საერთო რაოდენობასთან არის 5,73. ამისდა მიხედვით, აკადემიური

პერსონალის რაოდენობა და სამუშაო დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას. პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად, აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის დაგეგმვისას, დაწესებულებათა ითვალისწინებს არსებული და მომავალი სტუდენტების რაოდენობას თითოეულ პროგრამაზე. ამ თვალსაზრისით, დაწესებულებამ შეიმუშავა სტუდენტური კონტიგენტისა და აკადემიური პერსონალის დაგეგმვის მეთოდოლოგია. საბაკალავრო პროგრამაში აკადემიური პერსონალის რაოდენობა განისაზღვრება შემდეგნაირად: არა უმეტეს 70 სტუდენტი ერთ აფილირებულ პროფესორზე; არაუმეტეს 45 სტუდენტი ერთ აფილირებულ ასოცირებულ პროფესორზე; არაუმეტეს 35 სტუდენტი ერთ აფილირებულ ასისტენტ-პროფესორზე; არაუმეტეს 25 სტუდენტი ერთ აფილირებულ ასისტენტზე.

მაგისტრის ხარისხი ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის, ბიზნესის ადმინისტრირებისა და მწვრთნელის პროგრამებში - 2 აფილირებული პროფესორი თითოეული სასწავლო პროგრამისთვის. მოწვეული სპეციალისტების რაოდენობა განისაზღვრება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების ფარგლებში თითოეული სასწავლო წლისთვის აბიტურიენტთა მოსალოდნელი რაოდენობის გათვალისწინებით; აკადემიური და მოწვეული პერსონალის შემოდინება უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას და არ უნდა აღემატებოდეს 5%-ს. სპორტის უნივერსიტეტში სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება აკადემიური პერსონალის ნაკადის საფუძველზე, შემდეგი ფორმულით: $X = (A \times 70) + (B \times 45) + (C \times 35) + (D \times 25)$, სადაც: X = სტუდენტების ზღვრული რაოდენობა; A = პროფესორთა რაოდენობა; B = ასოცირებული პროფესორების რაოდენობა; C = ასისტენტ პროფესორთა რაოდენობა; D = თანაშემწეების რაოდენობა.

როგორც ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩატარებული ინტერვიუების დროს გამოვლინდა, აკადემიური პერსონალის უმეტესობა იცნობს აფილირების პირობებს. ვიზიტის დროისათვის აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა შეადგენდა 68-ს.

როდესაც კითხვა ეხებოდა სამიზნე ნიშნულებს, ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალს არ ჰქონდა ზუსტი პასუხი. ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ დაწესებულებას თავისი პერსონალისათვის არ აქვს დადგენილი სამიზნე ნიშნულები, რათა ეფექტიანად განხორციელდეს საგანმანათლებლო, კვლევითი, შემოქმედებითი და საშემსრულებლო აქტივობები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სამუშაო დატვირთვა
- აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემის შემუშავების მეთოდოლოგია
- თვითშეფასების ანგარიში
- ჯგუფის მიერ აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული შეხვედრები
- სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია

<p>რეკომენდაციები:</p> <p>პერსონალის მიერ საგანმანათლებლო, კვლევითი და ადმინისტრაციული საქმიანობის ეფექტიანად წარმართვის მიზნით, უზრუნველყოფით სამიზნე ნიშნულების შემუშავება და გამოყენება ყველა თანამშრომლისათვის.</p>
<p>რჩევები:</p> <p>არასავალდებულო რჩევები შემდგომი განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):</p> <p>პრაქტიკა, რომელიც განსაკუთრებით ეფექტურია და შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის</p>
<p>შეფასება</p> <p>მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

უსდ უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას; სტუდენტებს სთავაზობს შესაბამის სერვისებს, მათ შორის, კარიერული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმებს; ასევე უზრუნველყოფს მათ მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ამ ღონისძიებებში. სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების გასაუმჯობესებლად უსდ ითვალისწინებს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს.

5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები

- უსდ-ს თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები.
- უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტმა შეიმუშავა მარეგულირებელი დოკუმენტი - „სასწავლო პროცესის რეგულირების წესი“. სადაც მკაფიოდ არის განსაზღვრული სტუდენტის სტატუსის მიღების, შეჩერებისა და შეწყვეტის პროცედურები, ასევე, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტების გაცემისა და უმაღლესი განათლების საბაკალავრო და სამაგისტრო დონეზე და ქართული ენის მოსამზადებელ კურსებზე სწავლის პროცესში მიღებული განათლების აღიარების ვადები და პირობები. მიუხედავად ამისა, ზემოთ ხსენებული განახლებული დოკუმენტი ხელმისაწვდომი არ არის ფართო საზოგადოებისთვის. ვებგვერდზე განთავსებულია მხოლოდ ძველი ვერსია. დოკუმენტი უნდა იყოს წარმოდგენილი ქართულ და ინგლისურ ენებზე უნივერსიტეტის ვებ – გვერდზე

და რეალურად, ეს ასე არ არის. სტრატეგიული გეგმის თანახმად, უნივერსიტეტი მიზნად ისახავს უცხოელი სტუდენტების ჩარიცხვას, ამიტომ, ყველა მნიშვნელოვანი მარეგულირებელი დოკუმენტი ხელმისაწვდომი უნდა იყოს ინგლისურ ენაზე ვებგვერდზე, რაც ასევე არ არის. უნივერსიტეტმა შეიმუშავა სტუდენტის ხელშეკრულების ფორმა ორივე ენაზე.

დოკუმენტის - „სასწავლო პროცესის რეგულირების წესის“ თანახმად, სტუდენტებს აქვთ სხვა უნივერსიტეტში მობილობის განხორციელების უფლება იმ შემთხვევაში, თუ უნივერსიტეტს შეუწყდება ავტორიზაცია, ან სასწავლო პროგრამა აღარ ფუნქციონირებს. ინტერვიუების დროს არცერთ სტუდენტს არ შეეძლო თქმა, თუ რა ხდება ამგვარ ვითარებაში. როგორც ჩანს, უნივერსიტეტი ამ მიმართულებით საკმარისად არ ახდენს სტუდენტების ინფორმირებას.

სტუდენტები წარმოდგენილი არიან მაღალი დონის მმართველობით ორგანოებში - ფაკულტეტის საბჭოში და წარმომადგენლობით საბჭოში. ინტერვიუების დროს დადგინდა, რომ სტუდენტების უფლებები დაცულია და მათი სურვილები ძირითადად გათვალისწინებულია. მიზანშეწონილია სტუდენტების ჩართვა სხვადასხვა ადმინისტრაციულ დეპარტამენტში დროებითი სტაჟირებისა და პროგრამულ კომიტეტებში მონაწილეობის გზით, რათა მათ თავიანთი აზრი ჰქონდეთ საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხთან დაკავშირებით. ინტერვიუების დროს არცერთ სტუდენტს არ უთქვამს, რომ მონაწილეობდა ზემოხსენებულ აქტივობებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიუები
- უნივერსიტეტის ვებ – გვერდი და ფეისბუქის გვერდი
- სასწავლო პროცესის რეგულირების წესი
- სტუდენტთა ფინანსური დახმარების წესი

რეკომენდაციები:

უზრუნველყავით სასწავლო საკითხების შესახებ ინფორმაციის ინგლისური ვერსიის ხელმისაწვდომობა უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

უზრუნველყავით საუნივერსიტეტო საკითხებში სტუდენტთა უფრო აქტიური ჩართულობის (მართვა, სტუდენტური ასოციაციები და სხვ.) რეალური განხორციელება.

რჩევები:

მიაწოდეთ სტუდენტებს ინფორმაცია მათი ყველა უფლების შესახებ, სანამ კონკრეტული საჭიროება გაჩნდება.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

პრაქტიკა, რომელიც განსაკუთრებით ეფექტურია და შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის

შეფასება

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 სტუდენტთა მხარდაჭერის სერვისები

- სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად უსდ-ში მოქმედებს სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება.
- უსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის სერვისი, სადაც სტუდენტები იღებენ შესაბამის კონსულტაციას და მხარდაჭერას დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით.
- უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების ინფორმირებასა და ჩართულობას საუნივერსიტეტო, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში, ასევე მხარს უჭერს სტუდენტურ ინიციატივებს.
- უსდ-ში მოქმედებს დაბალი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მქონე სტუდენტების მხარდაჭერის მექანიზმები.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სხვადასხვა ტიპის სტუდენტურ სერვისებს. თვითშეფასების ანგარიშის და სამუშაო აღწერილობების მიხედვით, სტუდენტებს შეუძლიათ მიიღონ ინფორმაცია თავიანთი აკადემიური მოსწრების შესახებ ლექტორებთან საკონსულტაციო საათების დროს, სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტისა და დეკანის ოფისიდან. ინფორმაცია შეფასების სისტემის შესახებ მოცემულია თითოეული კურსის სილაბუსში, ისევე როგორც პროგრამის კატალოგში, რომელიც განთავსებულია უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე. ინტერვიუებმა დაადასტურა, რომ სტუდენტები სწავლების დასაწყისში გაეცნენ შეფასების სისტემას. მაგრამ ასევე ინტერვიუებმა ცხადყო, რომ სტუდენტებმა არ იციან, ვისგან მიიღონ უკუკავშირი მათ აკადემიურ მოსწრებასთან დაკავშირებით.

მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ცალკე კულტურისა და სპორტის დეპარტამენტი, სტუდენტთა უმრავლესობამ გამოთქვა სურვილი, რომ უნივერსიტეტი მათ შესთავაზოს მრავალფეროვანი გასართობ -კულტურული და სპორტული ღონისძიებები. მათი მოთხოვნაა მეტი კლასგარეშე აქტივობები.

სპორტის უნივერსიტეტს სტუდენტებს, როგორც ჩანს, ხელი არ მიუწვდებათ გარკვეული სახის კონსულტაციებზე, როგორცაა, მაგალითად ფსიქოლოგიური კონსულტაცია. ამჟამად არ არსებობს სპეციალური განყოფილება ან პერსონალი, რომელთაც მიმართავდნენ სტუდენტები განსაკუთრებული რისკების არსებობის შემთხვევაში (დეპრესია, პიროვნების აშლილობა, სტრესით გამოწვეული სხვადასხვა სახის არაადეკვატური მდგომარეობა და ა.შ.), და მიიღებდნენ ინდივიდუალურ ფსიქოლოგიურ კონსულტაციებს ან დახმარებას.

უნივერსიტეტში სახეზეა სტუდენტთა მხარდაჭერის სერვისები, მაგრამ სტუდენტები მაინც, ძირითადად, ინფორმაციას იღებენ დეკანის ოფისის დასაქმების შესაძლებლობებისა და

მრავალი სხვა მომსახურების შესახებ. საჭიროა წინასწარ გაკეთდეს სტუდენტების უკეთესი ორიენტაცია იმაზე, თუ ვის შეუძლიათ მიმართონ მათ საჭიროების შემთხვევაში. ერთ-ერთი გზა ამის მოსაგვარებლად შეიძლება იყოს, რომ ყველა ადმინისტრაციული განყოფილების წარმომადგენელს მიეცეს შესაძლებლობა გააცნონ სტუდენტებს თავიანთი პასუხისმგებლობები და და საკითხები, რომლებზეც მათ შეუძლიათ მიმართონ.

სტუდენტები ინფორმაციას სტუდენტური თვითმმართველობის შესახებ იღებენ მხოლოდ ერთი ადამიანისგან. ფაქტიურად კი სტუდენტურ თვითმმართველობაში არის სხვადასხვა განყოფილება და მათ წარმომადგენლებს უფრო ხშირად შეუძლიათ ჰქონდეთ ურთიერთობა სტუდენტებთან, რათა უზრუნველყონ მათი ჩართულობა აქტივობებში. სტუდენტურმა თვითმმართველობამ უფრო მეტი აქტივობები უნდა შესთავაზოს სტუდენტებს. როგორც ჩანს, სტუდენტურ თვითმმართველობას არ გააჩნია სამოქმედო გეგმა და სტრატეგია, თუ როგორ უნდა ჩართოს ეფექტურად სტუდენტები მის საქმიანობაში.

რეგულაციებისა და ინტერვიუების თანახმად, ძირითადად, სტუდენტური თვითმმართველობის სტუდენტები მონაწილეობენ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, მაგალითად, სტუდენტი-წარმომადგენლები ფაკულტეტის საბჭოში, წარმომადგენლობით საბჭოში, სტრატეგიულ გეგმაზე მუშაობისთვის შექმნილ სამუშაო ჯგუფში. შესაძლებლობა უნდა მიეცეთ არა მხოლოდ სტუდენტებს, რომლებსაც აქვთ მაღალი აკადემიური მოსწრება და / ან სტუდენტური თვითმმართველობის წევრები არიან, არამედ ყველა სტუდენტს, მიუხედავად მათი აკადემიური დონისა. ყველა სტუდენტს უნდა ჰქონდეს უფლება საკუთარი აზრი გამოთქვას საუნივერსიტეტო ცხოვრების ყველა საფეხურზე.

კურსდამთავრებულთა სამსახური ჯერ საწყის ეტაპზეა. რეკომენდაციას ვიძლევი, რომ კურსდამთავრებულთა სამსახური უფრო ხშირად შეხვდეს კურსდამთავრებულებს და მიაწოდოს ინფორმაცია შესაძლებლობების შესახებ, არა შერჩევით, არამედ უფრო „მასობრივად“. კურსდამთავრებულთა სამსახურის წარმომადგენლებთან ინტერვიუს თანახმად, ამ სამსახურს ჯერ არ აქვს საქმიანობის მკაფიო გეგმა. კურსდამთავრებულთა წარმომადგენელთა რეკომენდაციის თანახმად, სტუდენტთა დასაქმებისთვის სასარგებლო იქნება უნივერსიტეტის მიერ დასაქმების ფორუმის ორგანიზება სტუდენტებისთვის, რომელსაც დაესწრებიან პოტენციური დამსაქმებლები, ხოლო სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს ექნებათ დასაქმების ან სტაჟირების შესაძლებლობა.

ინფორმაცია უნივერსიტეტში არსებული ყველა სტუდენტური მომსახურებისა და მათი საქმიანობის, მათ შორის კურსდამთავრებულთა სერვისების შესახებ, ხელმისაწვდომი უნდა იყოს ვებგვერდზე. მიზანშეწონილია, შექმნათ სივრცე, სადაც სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს და დამსაქმებლებს შესაძლებლობა ექნებათ ადვილად დაუკავშირდნენ ერთმანეთს. ეს ნიშნავს, რომ უნივერსიტეტს შეუძლია ინფორმაცია მიაწოდოს სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს დასაქმების შესაძლებლობების თაობაზე სწრაფი და მოხერხებული გზით.

უნივერსიტეტი გეგმავს უცხოელი სტუდენტების მიღებას, მაგრამ ჯერ არ აქვს წინასწარ განსაზღვრული რეგულაციები, თუ ვინ შეიძლება იყოს აპლიკანტი, როგორია მიღების

კრიტერიუმები და რა პროცედურები უნდა გაიარონ სტუდენტებმა. უნივერსიტეტს მხოლოდ რამდენიმე თანამშრომლობის მემორანდუმი გააჩნია. სტუდენტთა შანსი, ჩაერთონ მობილობაში და საერთაშორისო პროექტებში, ძალიან დაბალია.

ადმინისტრაციის წარმომადგენლები და თავად სტუდენტები კმაყოფილები არიან მათი უფლებების დაცულობის ხარისხით. . მაგრამ, მიუხედავად ამისა, უამრავი სტუდენტია, რომელთაც არაფერი იციან ეთიკის კოდექსის შესახებ; ზოგიერთმა მათგანმა დააკონკრეტა, რომ სტუდენტთა ეთიკის კოდექსი ხელმისაწვდომია ვებ – გვერდზე და არსებობს ადვოკატი, რომელსაც შეუძლია დაიცვას მათი უფლებები.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს „სტუდენტთა ფინანსური დახმარების წესი“. წესი ითვალისწინებს დაბალი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მქონე სტუდენტებისათვის ფინანსური დახმარების გაცემის რეგულაციას. ინფორმაცია სტიპენდიების შესახებ ფართოდ უნდა გავრცელდეს და იყოს მარტივად ხელმისაწვდომი ვებ-გვერდზე. გასაუბრებების დროს მხოლოდ რამდენიმე სტუდენტმა შეძლო დაესახელებინა, თუ რა სახის სტიპენდიას თავაზობს მათ დაწესებულება. . უნივერსიტეტი უნდა ეცადოს, ჩართოს სტუდენტები სტიპენდიების პროგრამის მართვაში. ასევე, სასურველია წახალისებულ იქნას სტუდენტის მაღალი მოსწრება. მაგალითად, შესაძლოა, სტუდენტს არ ქონდეს უმაღლესი ქულები, მაგრამ ჰქონდეს განსაკუთრებული სპორტული მიღწევები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიუები
- უნივერსიტეტის ვებ – გვერდი და ფეისბუქის გვერდი
- სასწავლო პროცესის რეგულირების წესი
- სტუდენტთა ფინანსური დახმარების წესი

რეკომენდაციები:

შემუშავებულ იქნას სტუდენტებისათვის მოკლე და გრძელვადიანი საერთაშორისო პროექტები.

დარწმუნდით, რომ სტუდენტურ თვითმმართველობას აქვს მკაფიოდ განსაზღვრული სამოქმედო გეგმა და ეს გეგმა ფართოდაა გავრცელებული.

კურსთავრებულებთან მუშაობა უფრო სისტემატიური უნდა გახდეს.

შექმენით კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების სტრუქტურირებული მონაცემთა ბაზა.

შეიმუშავეთ და შესთავაზეთ სტუდენტებს კულტურული და სპორტული აქტივობების უფრო მდიდარი არჩევანი.

ვებ-გვერდი უნდა იყოს ინფორმატიული, თანამედროვე ინტერფეისით. გახადეთ იგი უფრო ინტერაქტიული.

რჩევები:

განიხილეთ ფსიქოლოგის ჩართვა სტუდენტთა საკონსულტაციო სერვისებში, ეს მომსახურება ხელმისაწვდომი უნდა იყოს საჭიროების მქონე ყველა სტუდენტისთვის.

შეიმუშავეთ ეფექტური წახალისების პროცედურები სპორტულ კარიერაში გამორჩეული მიღწევების მქონე სტუდენტებისათვის (სტიპენდიები, მათი სპორტული აქტივობების დაფინანსება ან მათთვის შესაბამისი ობიექტების გამოყოფა, დაჯილდოება და სხვ.).

მიეცით შესაძლებლობა ადმინისტრაციულ დეპარტამენტებს მიაწოდონ სტუდენტებს ინფორმაცია იმაზე, თუ რომელ ამოცანებზე უნდა იყოს თითოეული მათგანი ორიენტირებული.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

პრაქტიკა, რომელიც განსაკუთრებით ეფექტურია და შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის

შეფასება

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- x ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

უსდ, თავისი ფორმისა და დარგ(ებ)ის სპეციფიკის გათვალისწინებით, ზრუნავს საკუთარი კვლევითი ფუნქციის გაძლიერებაზე, უზრუნველყოფს კვლევების ხელშემწყობი პირობების შექმნასა და ამ საქმიანობის ხარისხის ამაღლებას.

6.1 კვლევითი საქმიანობა

- o უსდ, თავისი ფორმისა და დარგების სპეციფიკიდან გამომდინარე, ახორციელებს კვლევით/შემოქმედებით საქმიანობას.
- o სადოქტორო კვლევების ხელმძღვანელობის ეფექტურობის უზრუნველყოფა.
- o უსდ-ს აქვს სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის საჯარო, გამჭვირვალე და სამართლიანი პროცედურები, რომლებიც დარგის სპეციფიკის შესაბამისია.

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი არის სასწავლო უნივერსიტეტი და ახორციელებს სწავლებას და გამოყენებით კვლევებს უმაღლესი განათლების მხოლოდ ორ საფეხურზე: საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე. ყველა პროგრამა მოიცავს 20 კრედიტს საბაკალავრო ან სამაგისტრო ნაშრომისთვის და ხელს უწყობს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელებას საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე. საბაკალავრო პროგრამები მოიცავს 4 კრედიტს კვლევის მეთოდებისთვის, სამაგისტრო პროგრამები განსხვავდება სამეცნიერო საქმიანობებით: სამაგისტრო პროგრამა „ფიზიკური აღზრდისა და სპორტის (მწვრთნელისთვის“) მოიცავს 6 კრედიტს SPSS-თვის და სამეცნიერო კვლევების მეთოდებში სპორტისთვის; ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის სამაგისტრო პროგრამა 6 კრედიტს ანიჭებს სამეცნიერო კვლევების, ბიო-სტატისტიკის საფუძვლებს; სამაგისტრო პროგრამა "სპორტის მენეჯმენტი" მოიცავს 5 კრედიტს სამეცნიერო კვლევის საფუძვლებისთვის. პოზიტიური ტენდენციაა, რომ სამეცნიერო საქმიანობის ინტენსივობა იზრდება საბაკალავრო პროგრამებიდან სამაგისტრო პროგრამებამდე. უნივერსიტეტი არ ახორციელებს სადოქტორო პროგრამებს.

ვინაიდან სპორტის უნივერსიტეტი სასწავლო უნივერსიტეტი, ის ორიენტირებულია გამოყენებით კვლევაზე კონკრეტულ დარგებში. კვლევისა და განვითარების თვალსაზრისით, „სასწავლო უნივერსიტეტი ახორციელებს ისეთ საქმიანობას, რომლის მიზანია სამწვრთნელო-სტრატეგიული ინფორმაციის გამდიდრება სპორტის სახეობებით, ფიზიკური მედიცინისა და

რეაბილიტაციისა და სპორტის მენეჯმენტისადმი ინოვაციური მიდგომების დამკვიდრებით. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამეცნიერო ინტერესი ორიენტირებულია სპორტულ-პედაგოგიური, ფსიქოლოგიური და სამედიცინო-ბიოლოგიის მრავალფეროვან, ფართო სპექტრზე".

მიუხედავად იმისა, რომ კვლევითი საქმიანობის თემატიკა და სპექტრი უნივერსიტეტში ძალიან ფართოა (ყველა დეპარტამენტი მისი პროფილის მიხედვით პასუხისმგებელია კვლევითი საქმიანობის არჩევასა და უზრუნველყოფაზე), ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის მიერ განხორციელებულ სამეცნიერო საქმიანობას კომპლექსურობა აკლია. სხვადასხვა კათედრისა და სპეციალობის აკადემიური პერსონალი ატარებს კვლევას საკუთარი ინტერესის შესაბამისად და არ გაუკეთებიათ ერთობლივი ძალისხმევა კომპლექსური, ინტერდისციპლინარული კვლევების შემუშავების მიზნით, რომელიც შეესაბამება სპორტის უნივერსიტეტის სპეციფიკასა და მოთხოვნას, და უზრუნველყოფს უნივერსიტეტის მთელი სამეცნიერო პოტენციალის დაგროვებას მნიშვნელოვანი შედეგების მისაღწევად. ამგვარი კომპლექსური კვლევითი საქმიანობები ხელს შეუწყობენ უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით სფეროში შემდგომ წარმატებას, აგრეთვე მათ მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლიათ ზოგადად საზოგადოების განვითარებაზე.

სწავლებისა და კვლევების ინტეგრაციის მიზნით, სპორტის უნივერსიტეტმა სხვადასხვა ეკონომიკურ აგენტებთან ხელი მოაწერა ხელშეკრულებებს თანამშრომლობაზე. თანამშრომლობის ფარგლებში, უნივერსიტეტი ახორციელებს ისეთ ღონისძიებებს, როგორცაა კონფერენციები, მოკლე ვიზიტები გამოცდილების გაზიარებისთვის, მოკლე სტაჟირება და ვიზიტები პროფესიული უნარების დასახვეწად. ამასთან, უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციის საფუძველზე, ისევე როგორც ჯგუფური ინტერვიუების შედეგად, გაირკვა, რომ უნივერსიტეტს პარტნიორებთან ერთად ჯერ არ ჩაუტარებია რაიმე სხვა მნიშვნელოვანი კვლევითი ღონისძიება, რაც შედეგად ინოვაციურ განვითარებასა ან შედეგებს მოგვცემდა. სპორტის უნივერსიტეტი მხარს უჭერს შიდა საუნივერსიტეტო კონფერენციებს და სამეცნიერო ღონისძიებებს სტუდენტებისა და პერსონალისთვის. უნივერსიტეტში სტუდენტური კონფერენციები იმართება წელიწადში ერთხელ ფაკულტეტების დახმარებით. მიუხედავად ამისა, პერსონალის და სტუდენტების ჩართულობა სამეცნიერო აქტივობებში დაბალია.

უსდ-ს გააჩნია საჯარო, გამჭვირვალე და სამართლიანი პროცედურები სამაგისტრო ნაშრომების შეფასებისა და დაცვისთვის, რომლებიც შეესაბამება სფეროს სპეციფიკას. აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის სამუშაო დატვირთვა კარგადაა ორგანიზებული. იგი მოიცავს სწავლების სამუშაო დატვირთვას, სამეცნიერო დატვირთვას, უნივერსიტეტის საქმიანობებში მონაწილეობას და საკონსულტაციო საათებს. თითოეული ტიპის დატვირთვაზე გამოყოფილი საათების რაოდენობა მერყეობს, რაც დამოკიდებულია აკადემიური პერსონალის თანამდებობაზე.

აღსანიშნავია ისიც, რომ სპორტის უნივერსიტეტს განსაზღვრული აქვს სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობა, რომელსაც ხელმძღვანელობს ერთი აკადემიური პერსონალი. სპორტის უნივერსიტეტის რეგულაციები ცხადყოფს და გასაუბრებები ექსპერტთა ჯგუფთან ადასტურებს, რომ რომ სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობა, რომელსაც ხელმძღვანელობს ერთი აკადემიური

პერსონალი, არის ორი, რაც მიზანშეწონილად მიიჩნევა ექსპერტთა ჯგუფის წევრების მიერ. სპორტის უნივერსიტეტმა შეიმუშავა რეგულაციები და წესები საბაკალავრო და სამაგისტრო დისერტაციის დაცვის პროცედურასთან დაკავშირებით. ეს დოკუმენტები საჯარო და ხელმისაწვდომია. გასაუბრების დროს, აკადემიურმა პერსონალმა დაადასტურა, რომ ისინი კარგად იცნობენ ამ პროცედურებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

სპორტუნის თვითშეფასების ანგარიში

ინტერვიუს შედეგები

დანართი 6.1- ინფორმაცია პერსონალის სამეცნიერო საქმიანობაზე- ანგარიში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შესახებ (2013-2019)

დანართი 6.2. თანამშრომლობის მემორანდუმები ეკონომიკურ აგენტებთან და დაგეგმილი კვლევითი პროექტები, რომლებიც ხორციელდება მათთან თანამშრომლობით.

დანართი 1.5. - სტრატეგიული განვითარების გეგმა და დანართი 6.3. უნივერსიტეტის სტრატეგია მისი ფუნდამენტური და /ან გამოყენებითი პროექტების, შემოქმედებითი და აღმასრულებელი საქმიანობების განვითარების მიზნით.

დანართი 6.4. დეპარტამენტები/ფაკულტეტების მიერ განხორციელებული და დაგეგმილი პროექტების მოკლე აღწერა

დანართი 6. 5. ფაკულტეტების მიერ ბოლო ორი წლის განმავლობაში დაცული სამაგისტრო ნაშრომების მუსხა და მათი აბსტრაქტები

დანართი 3.5. საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების მომზადებისა და დაცვის წესი და ინსტრუქციები

უნივერსიტეტის ვებ-გვერდი

რეკომენდაციები:

გააღრმავეთ თანამშრომლობა ეკონომიკურ აგენტებთან ერთობლივი სამეცნიერო პროექტების განხორციელების, სწავლებისა და კვლევის ინტეგრაციის უკეთ წარმართვის მიზნით.

განახორციელეთ კომპლექსური დისციპლინათაშორისი კვლევითი აქტივობები, რაც შესაბამისობაში იქნება უნივერსიტეტის სპეციფიკასთან და ხასიათთან.

გაზარდეთ სტუდენტებისა და პერსონალის ჩართულობა სამეცნიერო აქტივობებში.

რჩევები:

არასავალდებულო რჩევები შემდგომი განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

პრაქტიკა, რომელიც განსაკუთრებით ეფექტურია და შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის

შეფასება

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6.2. კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია

- o უსდ-ს გააჩნია კვლევის, განვითარებისა და შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერის ეფექტური სისტემა.
- o ახალი კადრების მოზიდვა და ჩართვა კვლევით/სახელოვნებო საქმიანობაში.
- o დაწესებულება მუშაობს კვლევითი, განვითარებისა და შემოქმედებითი საქმიანობების ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით

კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერის მიზნით, უნივერსიტეტმა ჩამოაყალიბა ახალი სტრუქტურული ერთეული- სამეცნიერო-კვლევითი სამსახური. უნივერსიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებულია კვლევითი საქმიანობების დაფინანსება. კვლევითი საქმიანობის განვითარების მიზნებისათვის დაფინანსების წლიური თანხაა ბიუჯეტის 3%. უნივერსიტეტი აცხადებს, რომ დაგეგმილია მისი გაზრდა 5% -მდე.

ახლადდაარსებული სამეცნიერო კვლევითი სამსახური ორიენტირებულია ახალი ცოდნისა და მიდგომების განვითარებაზე სამეცნიერო კვლევის კუთხით. სამეცნიერო კვლევითი სამსახურის უფროსმა და მისმა მთავარმა სპეციალისტებმა ორი თვის წინ დაიწყეს საქმიანობა. ინტერვიუების დროს მათ ხაზი გაუსვეს დაგეგმილ ღონისძიებებს კვლევის პოპულარიზაციისთვის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო პოტენციალის შემდგომი განვითარებისთვის, სტუდენტთა კვლევაში ჩართულობისთვის (სამაგისტრო პროგრამების დაფინანსებული კვლევა). საერთაშორისო ურთიერთობის სამსახურთან კოორდინაციის შედეგად, სამეცნიერო კვლევითი სამსახური დახმარებას უწევს აკადემიურ და სამეცნიერო პერსონალს სხვადასხვა წყაროებიდან დაფინანსების მოპოვების მიზნით. აღსანიშნავია, აგრეთვე, რომ უნივერსიტეტის სტუდენტებს და პერსონალს აქვთ წვდომა საერთაშორისო სამეცნიერო მონაცემთა ბაზებთან, როგორებიცაა: „კემბრიჯის ონლაინ ჟურნალი“, ე-დიუკის კვლევითი ჟურნალი“, „სამეფო საზოგადოების კრებული“ და ა.შ. უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციამ, აგრეთვე ადგილზე ვიზიტმა, დაადასტურა, რომ ზემოთხსენებულ ელექტრონულ ბაზებთან წვდომა გახსნილია.

სასწავლო უნივერსიტეტი აქტიურად მუშაობს საერთაშორისო სპორტული განათლებისა და მეცნიერების სხვადასხვა ორგანიზაციებთან გაწევრიანების საკითხზე და ამჟამად იგი აწარმოებს მოლაპარაკებებს სპორტისა და ფიზიკური განათლების საერთაშორისო საბჭოსთან (ICSSPE). შესაძლო წევრობა საშუალებას მისცემს უნივერსიტეტს ჩაერთოს მნიშვნელოვან სამეცნიერო-საგანმანათლებლო საქმიანობაში და ჰქონდეს წვდომა თანამედროვე ლიტერატურასა თუ სამეცნიერო ნაშრომებზე სპორტისა და ფიზიკური აღზრდის სფეროში.

2015 წლიდან სასწავლო უნივერსიტეტი გახდა იასუნის - ფიზიკური კულტურისა და სპორტის უნივერსიტეტების საერთაშორისო ასოციაციის წევრი და ის აქტიურად მონაწილეობს ასოციაციის ეგიდით ჩატარებულ სამეცნიერო კონფერენციებსა და კონგრესებში.

2018 წლის 25-28 ოქტომბერს სპორტის უნივერსიტეტმა უმასპინძლა სპორტულ მეცნიერებათა მსოფლიო ფორუმს პირველად საქართველოს ისტორიაში. 22-ე საერთაშორისო სამეცნიერო კონგრესი, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ეგიდით, "ოლიმპიური სპორტი და სპორტი ყველასთვის", მიემდგვნა საქართველოს სპორტის უმაღლესი განათლების დაწესებულების დაფუძნების 80 წლის იუბილეს.

სპორტის უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერის მექანიზმი. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება აფინანსებს ასოცირებული აკადემიური პერსონალის წევრებს საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში პუბლიკაციების დასაბეჭდად და სხვადასხვა სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობის მიზნით. მწვრთნელთა და ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტების აკადემიური პერსონალის მიერ მომზადებული პუბლიკაციების ჩამონათვალში მოცემულია ნაშრომები, სადაც პირველ ავტორად მითითებულია სპორტის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი; 2015-2019 წლის განმავლობაში უნივერსიტეტის აკადემიურმა პერსონალმა ორივე ფაკულტეტიდან გამოაქვეყნა 263 სტატია; მათ მონაწილეობა მიიღეს 43 კონფერენციაში, როგორც მომხსენებლებმა და გამოაქვეყნეს 17 წიგნი. აღსანიშნავია, რომ სპორტის უნი-ს აკადემიური პერსონალის ზოგიერთი წევრის პუბლიკაციები ქვეყნდება საერთაშორისო სამეცნიერო რეფერირებად ჟურნალებში და მათი გვარები გვხვდება ისეთ მაღალრეიტინგულ საერთაშორისო მონაცემთა ბაზაში, როგორც სკოპუსი.

უნივერსიტეტის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაში ნათქვამია, რომ უნივერსიტეტმა შემოიღო შიდა საგრანტო სისტემა, მის თანამშრომლებს შორის შიდა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გასაძლიერებლად. ამასთან, ინტერვიუებმა აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან ცხადყო, რომ ეს საგრანტო სისტემა არასდროს გამოუყენებიათ და, ამასთან, პერსონალის წევრებს არ აქვთ ინფორმაცია ამ შესაძლებლობის არსებობის შესახებ.

სასწავლო უნივერსიტეტმა შეიმუშავა ახალგაზრდა პერსონალის მოზიდვისა და მხარდაჭერის მექანიზმები. ეს სისტემა გულისხმობს სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების ჩართულობას და მოზიდვას და უნივერსიტეტის სამეცნიერო საქმიანობაში კვლევითი / შემოქმედებითი ინიციატივების ეფექტურ მხარდაჭერას. უნივერსიტეტი, აგრეთვე, ცდილობს საერთაშორისო პერსონალის მოზიდვასა და მათ ჩართვას უნივერსიტეტის საქმიანობებში. ალკალას უნივერსიტეტთან გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე, ალკალას უნივერსიტეტის სპორტისა და ფიზიკური აქტივობების მეცნიერების სადოქტორო პროგრამის სტუდენტმა, ჩაატარა კვლევა ფიზიკურ აღზრდისა და სპორტის სასწავლო უნივერსიტეტის ბაზაზე, ფიზიკური აღზრდის მასწავლებელთა და პროფესიონალებს სწავლების მიზნით საქართველოში. თუმცა, ეს მცდელობა ერთეული შემთხვევებითაა წარმოდგენილი. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ უნივერსიტეტმა უნდა გააძლიეროს ახალი პერსონალის, მათ შორის საერთაშორისო პროფესორების მოზიდვის მექანიზმები, ასაკობრივი წონასწორობის შესანარჩუნებლად, რათა უზრუნველყოს უნივერსიტეტის აკადემიური და სამეცნიერო საქმიანობის ხანგრძლივ სტაბილურობას და ინტერნაციონალიზაციას.

სპორტის უნივერსიტეტი, ასევე, მონაწილეობს Erasmus + Sport კონკურსში, რომელიც გულისხმობს ევროკავშირის და პარტნიორი ქვეყნების სპორტული ორგანიზაციების და ინსტიტუტების თანამშრომლობას ზოგადად სპორტის, (ტიპები, მენეჯმენტი, სპორტული

ღონისძიებების ორგანიზება და ა.შ.) და სპორტის მეცნიერების, განვითარებაში. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები სხვადასხვა უნივერსიტეტებთან თურქეთში, ბულგარეთში, ხორვატიაში, უნგრეთში, პოლონეთში, ესპანეთსა და სხვ. 2019-2020 წლებში უნივერსიტეტმა განაცხადი შეიტანა ევროკომისიის მიერ გამოცხადებულ კონკურსში დაფინანსების მისაღებად - „თანამშრომლობა სპორტის სფეროში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სპორტში ჩართულობის გაზრდის მიზნით (ფონდი "ინტრასის" ხელმძღვანელობით- ესპანეთი). თუმცა, სტუდენტებისა და პერსონალის მონაწილეობა ზემოთაღნიშნულ საერთაშორისო პროექტებში ძალიან დაბალია.

თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, სპორტის უნივერსიტეტი მხარს უჭერს ერთობლივი სამაგისტრო პროგრამების განხორციელებას. ის, ასევე, მხარს უჭერს საერთაშორისო და ადგილობრივი პროფესორების მიერ სტუდენტთა ერთობლივი ხელმძღვანელობის პრაქტიკას. უნივერსიტეტის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაში არ იყო მოცემული ინფორმაცია სამაგისტრო ნაშრომის ერთობლივი ხელმძღვანელობის ან ერთობლივი სამაგისტრო პროგრამების არსებობის სტატისტიკა. ეს ფაქტი დადასტურდა ადმინისტრაციასთან და აკადემიური პერსონალის წევრებთან ექსპერტთა ჯგუფის გასაუბრების დროს. რაც შეეხება სამომავლო პერსპექტივას, უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების თანახმად, სპორტის უნივერსიტეტი აცხადებს, რომ აპირებს 2022 წლისთვის ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

დანართი 2,1. სასწავლო უნივერსიტეტის სტრუქტურა

დანართი 2,2. სასწავლო უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების დებულებები სამეცნიერო კვლევითი სამსახურის დებულება

დანართი 6.6. კვლევისა და შემოქმედებითი საქმიანობის დამხმარე მექანიზმები და კვლევის დაფინანსების წესი

დანართი 1.5 და დანართი 6.7. ახალგაზრდა თანამშრომელთა მოზიდვისა და ჩართვის სტრატეგია

უსდ -ს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობებში.

დანართი 1.3 და დანართი 6.8 სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები სამეცნიერო/კვლევით საქმიანობებში მათი მონაწილეობისა და

შესაბამისი ინიციატივების მხარდაჭერის შესახებ.

დანართი 6.1. და დანართი 6.9.

ერთობლივი კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობები და საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობა

რეკომენდაციები:

შეიმუშავეთ და დანერგეთ უნივერსიტეტის შიდა კვლევითი გრანტების მექანიზმები.

განავითარეთ უნივერსიტეტის საერთაშორისო სამეცნიერო კვლევით აქტივობებში სტუდენტებისა და პერსონალის ჩართულობის გაზრდის მექანიზმები.

დანერგეთ ადგილობრივი და საერთაშორისო პროფესორების მიერ კვლევების ერთობლივი

ხელმძღვანელობის პრაქტიკა.
გააუმჯობესეთ ახალი კვლევითი პერსონალის მოზიდვის მექანიზმები.

რჩევები:
არასავალდებულო რჩევები შემდგომი განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
პრაქტიკა, რომელიც განსაკუთრებით ეფექტურია და შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის

შეფასება
მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება

უსდ-ს აქვს კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის, სამეცნიერო-კვლევითი განყოფილებებისა და აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემა.

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტმა შეიმუშავა პერსონალის კვლევის ხარისხისა და კვლევის პროდუქტიულობის შეფასების წესი. უნივერსიტეტის სხვადასხვა ერთეული, როგორცაა ხარისხის უზრუნველყოფის ცენტრალური სამსახური, აგრეთვე ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის განყოფილება, ადამიანური რესურსების მართვის სამსახური და სამეცნიერო-კვლევითი სამსახური მონაწილეობენ უნივერსიტეტის სასწავლო პერსონალის კვლევითი საქმიანობის და კვლევის ხარისხის შეფასებაში.

აკადემიური პერსონალი ყოველწლიურად ამზადებს თვითშეფასების ანგარიშს უნივერსიტეტის მიერ დადგენილი მოთხოვნებისა და კრიტერიუმების შესაბამისად. ამ კრიტერიუმებში შედის პუბლიკაციების რაოდენობა, მათ შორის რეფერირებად ჟურნალებში, სხვა პუბლიკაციები და სამეცნიერო საქმიანობანი. ყოველ კრიტერიუმს გააჩნია შესაბამისი ქულა. გასაუბრერების დროს დადასტურდა, რომ აკადემიურ პერსონალი იცნობს მათი კვლევითი საქმიანობის კრიტერიუმებს, ასევე აფილირების წესს. შესაბამის კათედრებზე მოქმედი პროფესორ-მასწავლებლების მიერ ჩატარებული კვლევების, პუბლიკაციების, გამოქვეყნებული სახელმძღვანელოების შედეგები, რომლებსაც ხშირადაა ნახსენები სილაბუსებში, როგორც ძირითადი, დამხმარე სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურა. კათედრების ფარგლებში შექმნილი შესაბამისი ნამუშევრები, დამხმარე სწავლების ან სამეცნიერო ლიტერატურის სახით - რასაც აქტიურად იყენებენ სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები სამაგისტრო ნაშრომის მომზადების პროცესში.

სპორტის უნივერსიტეტი ოფიციალურ ვებსაიტზე რეგულარულად აქვეყნებს ანგარიშებს განხორციელებული კვლევითი საქმიანობების შესახებ. ამასთან, აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების შედეგების საფუძველზე, გაიცემა შესაბამისი

რეკომენდაციები, წახალისებულია მაღალი რანგის პერსონალი. წახალისების მეთოდები სხვადასხვაგვარია.

1. მაღლობის გამოცხადება
2. კონკრეტულ სფეროში მიღწეული საუკეთესო შედეგების სერთიფიკატი
3. ინფორმაციის განთავსება ოფიციალურ ვებ-გვერდზე, უნივერსიტეტის ფეისბუქ გვერდზე საუკეთესო შედეგებისა და მიღწევების შესახებ.
4. ერთჯერადი ფინანსური ჯილდო (ბონუსი)
5. სხვადასხვა ტიპის საჩუქარი
6. კარიერული წინსვლა

აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებთან გასაუბრებების დროს გაირკვა, რომ სპორტის უნივერსიტეტში წახალისების ყველაზე გავრცელებული გზაა ინფორმაციის განთავსება საუკეთესო შედეგებისა და მიღწევების შესახებ ოფიციალურ ვებსაიტზე, უნივერსიტეტის facebook გვერდზე. აგრეთვე დადასტურდა, რომ აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების შედეგები ასევე გამოყენებული იქნება აკადემიური პერსონალის შესარჩევი კონკურსის განმავლობაში.

უნივერსიტეტს, აგრეთვე, შემუშავებული აქვს პროცედურები შეფასების შედეგების გამოყენებისათვის კვლევითი საქმიანობის სამომავლო განვითარებისათვის. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფმა ვერ მოიპოვა კონკრეტული პრაქტიკის მაგალითები, სადაც შეფასების შედეგები გამოყენებული იქნებოდა სამეცნიერო კვლევების მომავალი განვითარებისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

სპორტუნის თვითშეფასების ანგარიში
გასაუბრებების შედეგები
დანართი 6,10. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობისა და კვლევის ხარისხის შეფასების წესი
დანართი 1.4. დანართი 6.11. ანგარიში განხორციელებული კვლევების შესახებ
დანართი 4,1. პერსონალის მართვის პოლიტიკა.
დანართი 2,5. სასწავლო უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო

რეკომენდაციები:

გააუმჯობესეთ შეფასების შედეგების გამოყენების მექანიზმები კვლევითი აქტივობების შემდგომი განვითარებისათვის.

რჩევები:

არასავალდებულო რჩევები შემდგომი განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

პრაქტიკა, რომელიც განსაკუთრებით ეფექტურია და შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის

შეფასება

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

უსდ-ს მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და სტრატეგიული განვითარების გეგმის მიხედვით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

7.1 მატერიალური რესურსები

- უსდ-ს საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი (უძრავი და მოძრავი ქონება), რომელიც გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, სათანადოდ პასუხობს საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევითი საქმიანობის მოთხოვნებს და შეესაბამება სტუდენტების არსებულ როდენობას და დაგეგმილ ჩარიცხვებს.
- დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო გარემო: სანიტარიული კვანძები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის ცენტრალური სისტემა.
- დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა.
- უსდ-ს აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სპორტის უნივერსიტეტი განკარგავს სხვადასხვა ხარისხის მქონე შენობების/ნაგებობების კომპლექსს. სპორტუნის მფლობელობაში არსებული სხვადასხვა ობიექტი არ არის სახარბიელო მდგომარეობაში და შეუფერებელია სწავლებისა და სხვა შესაბამისი აქტივობებისთვის (ზოგი მათგანი დაკეტილია, ზოგიერთში კი განთავსებულია სპორტუნის სამსახურები). ნაქირავები ფართი ძირითადად დამაკმაყოფილებელია. სპორტუნის არ გააჩნია სტუდენტური საერთო საცხოვრებელი.

დაგეგმილია სპორტუნისთვის ახალი კამპუსის მშენებლობა თბილისის გარეუბანში. სპორტუნის რექტორმა განაცხადა, რომ გეგმა უკვე დაამტკიცა განათლების სამინისტრომ და შესაბამისად, ეს გეგმა განხორციელდება.

ამჟამად, პირველი კორპუსი (სპორტის უნის საკუთრება) გამოიყენება მხოლოდ პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებისთვის, აქ განთავსებულია ერთადერთი სამედიცინო კაბინეტი (I სართული), სპორტული დარბაზი, ჩოგბურთის კორტები, საფეხბურთო მოედნები, ბილიკები და მონაკვეთები სავლე და საფეხმავლო სექტორებისთვის (ეზოში). სამედიცინო კაბინეტი აღჭურვილია შესაბამისი სამედიცინო საწოლით, ბუნებრივი განათებით, ბუნებრივი ვენტილაციით და ცხელი წყლის მუდმივი მომარაგებით. გასაუბრებების დროს, ზოგიერთმა რესპოდენტმა პრეტენზია გამოთქვა რიგი სპორტული ინვენტარის მდგომარეობის გამო, სადაც ტარდება მწვრთნელის ფაკულტეტის ლექციები (მათი თქმით, ისინი მოძველებულია). ეს ნამდვილად პრობლემას წარმოადგენს მწვრთნელის ფაკულტეტის ზოგიერთ ინვენტართან დაკავშირებით. დაწესებულების პროფილისა და სპორტის განათლებაში მისი გეგმების გათვალისწინებით, ამ სივრცეების ინფრასტრუქტურა და ინვენტარი ან უნდა გაუმჯობესდეს ან ხელახლა იქნას შესყიდული.

მეორე შენობა (დაქირავებული) გამოიყენება საგანმანათლებლო აქტივობების განსახორციელებლად. ინფრასტრუქტურის მონახულებისას, ექსპერტთა ჯგუფმა იხილა, რომ შენობაში განთავსებულია შემდეგი სავალდებულო სექციები: ფოიე, დასასვენებელი ადგილები, საკლასო ოთახი, ადმინისტრაციული ოფისები, ჯგუფური მუშაობის ადგილი,

სანიტარული / ჰიგიენური კვანძები, ბიბლიოთეკა. ზოგადად, სხვადასხვა ერთეულების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრირების პროცესების ეფექტურ განხორციელებას. ყველა საკლასო ოთახს ბუნებრივი განათება აქვს.

ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფმა შენიშნა, რომ ორივე შენობის ყველა სართული აღჭურვილი იყო ცეცხლმაქრებით. ხანძარსაწინააღმდეგო ტექნიკის გამოყენების შესახებ დეტალური ინსტრუქციები მოცემულია ყველა სართულზე და ევაკუაციის გეგმები დამტკიცებულია უფლებამოსილი ორგანოების მიერ.

მე -2 შენობაში არსებული საგანმანათლებლო სივრცეები (ნაქირავები) აღჭურვილია საგანმანათლებლო პროგრამებისთვის საჭირო საშუალებებით. პირველ კორპუსში უსაფრთხოების რეგულაციების უმრავლესობა დაცულია, დანარჩენების დაცვა დამოკიდებულია შენობის დიდი ნაწილის მდგომარეობზე, რაც არ არის კარგი და ამიტომ მხოლოდ შეზღუდულად გამოიყენება: პირველი კორპუსის პირველი სართული (რექტორისა და ადმინისტრაციის უფროსის ოფისები, სამედიცინო კაბინეტი) განთავსებულია არასაიმედო შენობაში და არ არსებობს გარანტია, რომ იგი არ აღმოჩნდება რისკის ქვეშ შენობის დანარჩენი ნაწილების დაზიანების შემთხვევაში.

სპორტუნის მე -2 კორპუსი (ნაქირავები) აღჭურვილია გაყოფილი სანიტარული კვანძებით, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის; სანიტარული განყოფილებები კარგ სანიტარულ-ჰიგიენურ მდგომარეობაშია. კვანძებს აქვთ მუდმივი წყალმომარაგება; შენობა აღჭურვილია ცენტრალური გათბობისა და უწყვეტი ელექტრომომარაგების სისტემებით.

ორივე შენობაში, წესრიგი შენარჩუნებულია დაწესებულების მთელ პერიმეტრზე; დაწესებულებას გამოყოფილი ყავს დაცვის თანამშრომლები, რომლებსაც ექნებათ მყისიერი რეაგირება წესრიგის შესაძლო დარღვევაზე და დაიცავენ დაწესებულების მატერიალურ ფასეულობებს. წესრიგის უზრუნველსაყოფად, უსდ-ს გააჩნია სათვალთვალ კამერები, რომლებიც დამონტაჟებულია შენობის შიგნით და გარეთ, მთელი პერიმეტრის მანძილზე.

როგორც თვითშეფასების ანგარიშში იყო ნათქვამი, "იმის გათვალისწინებით, რომ ადმინისტრაციული და სხვა შენობები აშენდა დიდი ხნის წინ, გარკვეულწილად რთულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თავისუფალი გადაადგილების უზრუნველყოფა". ადგილზე ვიზიტის დროს პირველი შენობის პირველი სართული ადაპტირდებოდა. ამ კუთხით გასათვალისწინებელია სპორტული კლუბების და სხვა სპორტული ინვენტარის ადაპტირების გაუმჯობესება. მე -2 კორპუსში, სადაც ფუნქციონირებს სპორტუნი, სპეციალური საჭიროების მქონე პირებს შეუძლიათ თავისუფლად გადაადგილება შენობის გარშემო, რომელიც აღჭურვილია პანდუსებით, ლიფტით და ა.შ.

საბოლოო ჯამში, სპეციალური საჭიროებების მქონე პირთათვის საჭირო გარემო მხოლოდ ნაწილობრივია და საჭიროებს გაუმჯობესებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

თვითშეფასების ანგარიში

ინტერვიუები

ადგილზე ვიზიტი

სტრატეგიული გეგმა

სამოქმედო გეგმა

რეკომენდაციები:

დარწმუნდით, რომ ყველა ობიექტის დონე დამაკმაყოფილებელია.

გააუმჯობესეთ გარემოს ადაპტირება განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირებისათვის.

რჩევები:

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

პრაქტიკა, რომელიც განსაკუთრებით ეფექტურია და შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის

შეფასება

მიზნობრივ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- x ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

7.2. ბიბლიოთეკის რესურსები

ბიბლიოთეკის გარემო, რესურსები და მომსახურება ხელს უწყობს სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას და უსდ მუდმივად ზრუნავს მის განვითარებაზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ვიზიტის დროს, ჯგუფის ზოგიერთმა წევრმა ასევე მოინახულა ბიბლიოთეკის სივრცე, სადაც განთავსებულია სამკითხველო დარბაზი, ბიბლიოთეკის პერსონალის ოფისი, და ჯგუფური სამუშაო ადგილები, საინფორმაციო ტექნოლოგიების აღჭურვილობა. დაწესებულებას შემუშავებული აქვს რეგულაციები ბიბლიოთეკის სარგებლობის შესახებ. სამკითხველო დარბაზი აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, მათ შორისაა პრინტერი, ასლის გადამღები აპარატები, სკანერები და ინტერნეტთან დაკავშირებული კომპიუტერები. სასწავლო გეგმაში ნახსენები ძირითადი ლიტერატურა ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში; წიგნები დამუშავებულია ბიბლიოთეკის წესების შესაბამისად და პასუხობს აკადემიური პერსონალის და სტუდენტების საჭიროებას. ბიბლიოთეკის პერსონალს შეუძლია მიაწოდოს ინფორმაცია ბიბლიოთეკის რესურსებისა და მომსახურების შესახებ სტუდენტებსა და პერსონალს. ბიბლიოთეკა ღიაა სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის კვირაში 6 დღე, 60 საათი.

დაწესებულებას წვდომა აქვს ბიბლიოთეკის ელექტრონულ ქსელზე, კერძოდ, ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც გაფორმებულია დაწესებულებასა და საქართველოს ბიბლიოთეკების ინტეგრირებულ ინფორმაციულ ქსელს შორის 2019 წლის 7 თებერვალს, რომელიც უზრუნველყოფს განმცხადებელს თანმხლები მომსახურებით - (მუხლი 1, 1.2 პუნქტი) - თანამშრომლებს და სტუდენტებს აქვთ წვდომა შემდეგ ელექტრონულ რესურსებზე: კემბრიჯის ონლაინ ჟურნალი, ე- დიუკის სამეცნიერო კრებული, ედვარდ ელგარის გამომცემლობის ჟურნალები და განვითარების ელექტრონული წიგნები, IMechE ჟურნალები, Openedition ჟურნალები, სამეფო საზოგადოების ჟურნალთა კრებული, SAGE ჟურნალები, SAGE APCs ღია წვდომის ჟურნალები.

მიუხედავად იმისა, რომ ვიზიტის დროს ჯგუფმა შენიშნა, რომ ბიბლიოთეკის საერთაშორისო ელექტრონული ბაზები ხელმისაწვდომია პერსონალისთვის და სტუდენტებისთვის, აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან შეხვედრის დროს და წარმოდგენილი კვლევის შედეგების მიხედვით ცხადი გახდა, რომ რესურსების გამოყენება ძალიან დაბალია და

საჭიროა მისი გაუმჯობესება.

როგორც აღინიშნა ინტერვიუს დროს, ორივე ბიბლიოთეკარი სერტიფიცირებული და დატრენინგებულია საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის მიერ. ბიბლიოთეკის პერსონალს შეუძლია მიაწოდოს ინფორმაცია ბიბლიოთეკის რესურსებისა და მომსახურების შესახებ სტუდენტებსა და პერსონალს.

ბიბლიოთეკის ფონდი მუდმივად ექვემდებარება განახლებას, ეს ასევე გათვალისწინებულია სპორტის უნი – ს სამოქმედო გეგმაში, სადაც გეგმის ერთ – ერთი საკითხში ნათქვამია: "ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი და ნებისმიერი სხვა მარაგი, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და მომსახურება ექვემდებარება განახლებას". უნივერსიტეტის ბიუჯეტის მინიმუმ 3% ყოველწლიურად გამოიყოფა ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდისა და სხვა მარაგის განახლებისთვის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზებისა და მომსახურების განსახორციელებლად "(სამოქმედო გეგმა, გვ. 27). დაწესებულებამ შეიმუშავა „სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო მომსახურებების განახლების მექანიზმები", რომელიც არეგულირებს ბიბლიოთეკის მომსახურების განახლების პროცესებსა და მექანიზმებს. საბიბლიოთეკო რესურსების განვითარება ხორციელდება სამი მიმართულებით: წიგნადი ფონდისა და სხვა არა-წიგნადი მასალების განვითარება, ელექტრონული ბიბლიოთეკის რესურსების შექმნა და მატერიალური რესურსები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

თვითშეფასების ანგარიში

ინტერვიუები

ადგილზე ვიზიტი

სტრატეგიული გეგმა

სამოქმედო გეგმა

ხელშეკრულება დაწესებულებასა და საქართველოს ბიბლიოთეკების ინტეგრირებულ ინფორმაციულ ქსელს შორის

სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო მომსახურებების განახლების მექანიზმები

<http://sportuni.ge/category-info/165/>

რეკომენდაციები:

შეიმუშავეთ და განახორციელეთ საბიბლიოთეკო რესურსებით სარგებლობის გაზრდის სტრატეგიები.

რჩევები:

არასავალდებულო რჩევები შემდგომი განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

პრაქტიკა, რომელიც განსაკუთრებით ეფექტურია და შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის

შეფასება

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.3 საინფორმაციო რესურსები

- o უსდ-ში შექმნილია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და უზრუნველყოფილია მისი ადმინისტრირება და ხელმისაწვდომობა.
- o ელექტრონული სერვისები და მართვის ელექტრონული სისტემები დანერგილია და არსებობს მისი მუდმივი განვითარების ხელშეწყობი მექანიზმები
- o უსდ უზრუნველყოფს საქმიანობის უწყვეტობას.
- o უსდ-ს აქვს მოქმედი ვებ-გვერდი ქართულ და ინგლისურ ენებზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სპორტის უნივერსიტეტს გააჩნია საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მისი ადმინისტრირება და ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია. სპორტის უნივერსიტეტში არის საინფორმაციო ტექნოლოგიების განყოფილება, ასევე სახეზეა საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკა - ეს დოკუმენტი განსაზღვრავს საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკასა და პროცედურებს, ინფრასტრუქტურასა და განვითარების მექანიზმებს, თანამშრომელთა უფლებებსა და მოვალეობებს, არეგულირებს საინფორმაციო ტექნოლოგიების საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

ინტერვიუებით გამოვლინდა, რომ ელექტრონული სისტემა გამოიყენება სწავლისა და სწავლების პროცესის მართვის, აგრეთვე სპორტის უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხარდასაჭერად. სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს ამ სისტემის შემდგომ განვითარებას ყოველწლიურად "უნივერსიტეტის ბიუჯეტის მინიმუმ 3% -ს გამოყოფით" (სამოქმედო გეგმა, გვ. 27), გეგმის კონკრეტული მოქმედებები არ არის მითითებული.

საინფორმაციო ტექნოლოგიების რისკის მართვა ადეკვატურია; შეფასებულია საინფორმაციო ტექნოლოგიები სისტემის ეფექტურობა. სულ ადგილზეა 85 პერსონალური კომპიუტერი, 28 ლეპტოპი, 156 პროექტორი, 22 პრინტერი და 9 ტელეფონი. საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა, რომელიც გამიზნულია უსდ-ს მომსახურებისთვის, ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და პერსონალისთვის. სპორტის უნივერსიტეტის მთელი ტერიტორია დაფარულია უსადენო ინტერნეტით.

სპორტის უნივერსიტეტს აქვს საკუთარი სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა, ამისთვის ძირითადად გამოიყენება სტუდენტთა პორტალი, ისევე როგორც Moodle პლატფორმა.

რაც შეეხება ელექტრონული მართვის სისტემას, ის აშკარად ეხლახან დაინერგა და დაგეგმილია მისი შემდგომი განვითარების სამუშაოები - სამოქმედო გეგმის თანახმად, "უნივერსიტეტის ბიუჯეტის მინიმუმ 3% გამოიყოფა ყოველწლიურად უნივერსიტეტის ელექტრონული სერვისებისა და ელექტრონული მართვის სისტემის განსახორციელებლად. (სამოქმედო გეგმა, გვ. 27).

სპორტის უნივერსიტეტს აქვს ვებგვერდის ქართული ვერსია, რომელიც კარგად მუშაობს, როგორც კომუნიკაციისა და ინფორმაციის საშუალება სპორტი უნივერსიტეტის ძირითადი საქმიანობების შესახებ. თუმცა, ინგლისური ვარიანტი პრაქტიკულად არ არსებობს.

<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <p>თვითშეფასების ანგარიში</p> <p>ინტერვიუები</p> <p>სტრატეგიული გეგმა</p> <p>სამოქმედო გეგმა</p> <p>სპორტის უნივერსიტეტის ვებ-გვერდი (sportuni.ge)</p>
<p>შეფასება</p> <p>გთხოვთ, მონიშნოთ უჯრედი, რომელიც ყველაზე უკეთ აღწერს თქვენს პოზიციას სტანდარტის ამ კომპონენტის მიმართ პროგრამის შესაბამისობასთან დაკავშირებით.</p> <p>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>
<p>რეკომენდაციები:</p> <p>განსაზღვრეთ კონკრეტული მოქმედებები ელექტრონული მართვის სისტემის შემდგომი განვითარებისათვის.</p> <p>შეიმუშავეთ სპორტუნის ვებგვერდის ინგლისურენოვანი ვერსია.</p>
<p>რჩევები:</p> <p>არასავალდებულო რჩევები შემდგომი განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):</p> <p>პრაქტიკა, რომელიც განსაკუთრებით ეფექტურია და შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის</p>
<p>7.4 ფინანსური რესურსები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ უსდ-ის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად შესაძლებელია. ○ უსდ-ს ფინანსური მდგომარეობა უზრუნველყოფს სტრატეგიული და შუალედური სამოქმედო გეგმების ფარგლებში აღწერილი საქმიანობების შესრულებას. ○ უსდ-ს ფინანსური რესურსები ფოკუსირებულია დაწესებულების ძირითადი აქტივობების ეფექტურ შესრულებაზე. ○ უსდ-ს ბიუჯეტი უზრუნველყოფს კონკრეტული სამეცნიერო კვლევების, ბიბლიოთეკის ფუნქციონირებისა და განვითარების დაფინანსებას. ○ უსდ-ს გააჩნია ანგარიშგების, ფინანსური მართვისა და კონტროლის ეფექტიანი სისტემა.
<p>სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>ფინანსური რესურსები მოკლედ არის ნახსენები 7 – წლიან სტრატეგიულ გეგმაში, მაგრამ ამ ნაწილში მოცემულია, ასევე, ინფორმაცია სახსრების თანდათანობით ზრდაზე (საკუთარი შემოსავლის), რომელიც შეივსება სტუდენტური გადასახადებისგან, აგრეთვე სტადიონების გაქირავებისგან მიღებული შემოსავლებით, ან კვალიფიკაციის ამაღლების ტრენინგების მიწოდებიდან მიღებული შემოსავლებით. ”(თვითშეფასების ანგარიში, გვ.101)- ამ ეტაპზე იგი ივსება სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი შემოსავლისგან. აგრეთვე, ნათელია, რომ სამეცნიერო გრანტებიდან მიღებული შემოსავლების დონე დაბალია. ნაწილობრივ, ფინანსები უფრო კონკრეტულად არის მითითებული 3-წლიან სამოქმედო გეგმაში (მაგრამ არა სპორტის</p>

უნივერსიტეტის ფუნქციონირების ყველა სფეროსთან მიმართებაში) (იხ. სტანდარტ 1-თან დაკავშირებული ტექსტი).

ექსპერტთა ჯგუფისთვის მიწოდებული დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ ბიუჯეტში აღწერილი ფინანსური რესურსების გამოყოფა, ზოგადად, ეკონომიკურად მისაღებია, დაფინანსების წყაროების დივერსიფიცირებულია ორი მთავარი წყაროთი (სახელმწიფო სუბსიდია, საკუთარი რესურსი). ეს ვარაუდი ნაწილობრივ დაფუძნებულია ბიუჯეტის და მისი გასული წლების მდგომარეობის შედარებაზე. შესაბამისად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სპორტის უნივერსიტეტის ფინანსურ მდგომარეობას შეუძლია უზრუნველყოს როგორც სტრატეგიული, ისე შუალედური სამოქმედო გეგმების განხორციელება, გეგმებში აღწერილი ნაბიჯების შესაბამისად.

ზოგადად, ჯგუფმა დაინახა, რომ სპორტის უნივერსიტეტის ფინანსური რესურსები მიმართულია დაწესებულების ძირითადი საქმიანობის- სწავლების პროცესის განხორციელებაზე (ბიბლიოთეკის მარაგების ჩათვლით). გამოყენებით კვლევასთან დაკავშირებული დაფინანსება გარკვეულწილად არსებობს (უნივერსიტეტი გამოყოფს ბიუჯეტის 3% სამეცნიერო კვლევისთვის, როგორც ეს სამოქმედო გეგმაშია ნათქვამი), ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ სპორტის უნივერსიტეტი გეგმავს ამ ციფრის გაზრდას 5% -მდე (უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, 2019 წელს სპორტის უნივერსიტეტის ბიუჯეტში ჯამური თანხა იყო 2.620.000 ლარი, აქედან 1.300.000 ლარი დაფინანსდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ხოლო 1.320.000 ლარი სპორტის უნივერსიტეტის საკუთარი შემოსავლებია). გასაუბრებების დროს იგივე ითქვა ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებით, მაგრამ ეს პირდაპირ არ არის გაწერილი სამოქმედო გეგმაში. ჯგუფმა ვერ მიღო დივერსიფიცირებული ბიუჯეტი, რომელიც უფრო ნათლად იქნებოდა სტრუქტურირებული ცალკეული მუხლებისა და კონკრეტული სფეროებისთვის გამოყოფილი სახსრების მიხედვით

სპორტის უნივერსიტეტში სახეზეა ანარიშგების, ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

თვითშეფასების ანგარიში

სტრატეგიული გეგმა

სამოქმედო გეგმა

სპორტუნის ბიუჯეტი

ინტერვიუები

რეკომენდაციები:

დარწმუნდით, რომ ბიუჯეტი უფრო მკაფიოდაა დივერსიფიცირებული კონკრეტულ მუხლებად სპორტუნის ოპერირებისა და განვითარების ძირითად სფეროებში.

დარწმუნდით, რომ საკმარისი დაფინანსებაა გამოყოფილი უნივერსიტეტის მეორეხარისხოვანი აქტივობებისათვის, მათ შორის ინტერნაციონალიზაციისთვის (ფინანსური პარამეტრები ზუსტად უნდა იყოს დადგენილი).

რჩევები:

არასავალდებულო რჩევები შემდგომი განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

პრაქტიკა, რომელიც განსაკუთრებით ეფექტურია და შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის

შეფასება

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან